99112

ISSN 0203—2023

ეროვნული ბიბლიოთეკა

552
585

1991

№ 10

# საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს უწყებები

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს გამოცემა

თბილისი

ეროვნული
ბიბლიოთეკა


# საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს უწყებანი

**№ 10 (615)** **ოქტომბერი** **1991 წელი**


## შინაარსი

### განყოფილება პირველი


678. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება საქართველოს რესპუბლიკის სასამართლოების მსაჯულთა უფლებამოსილების ვადის გაგრძელების შესახებ.

679. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება საქართველოს რესპუბლიკის რაიონის (ქალაქის) სასამართლოების მოსამართლეთა დანიშვნის შესახებ.

680. საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულება თ. მ. ვაშაძის ქ. თბილისის მერის მოვალეობის დროებით შემსრულებლად დანიშვნის შესახებ.

681. საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულება ჯ. კ. დავლიანიძის კასპის რაიონის პრეფექტის მოვალეობის შემსრულებლად დანიშვნის შესახებ.

682. საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულება მ. ა. თოდუას ა. წერეთლის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებლად დანიშვნის შესახებ.

683. საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულება ა. ლ. ჩიტაძის ქ. რუსთავის პრეფექტის მოვალეობის დროებით შემსრულებლად დანიშვნის შესახებ.

684. საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულება გ. პ. ჩაკვეტაძის ქ. წყალტუბოს ზონის პრეფექტის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ.

685. საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულება თ. ს. კაკუშაძის ქ. წყალტუბოს ზონის პრეფექტის მოვალეობის შემსრულებლად დანიშვნის შესახებ.

686. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება მ. ბ. ფაჩუაშვილის გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ მთავარი რედაქტორის თანამდებობიდან **გათავისუფლების შესახებ.**


საქართველოს
ეროვ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

687. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ მთავარ რედაქტორად მ. ა. აბაიშვილის დანიშვნის შესახებ..

688. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება ჩეჩნეთის რესპუბლიკისა და ყირგიზეთის რესპუბლიკის პრეზიდენტების არჩევნებზე მეთვალყურეების მივლინების შესახებ.

689. საქართოელოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულება „აფხაზეთის რესპუბლიკური საბაჟო სამსახურის შექმნის შესახებ“ აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის 1991 წლის 27 სექტემბრის დადგენილების მოქმედების შეჩერების თაობაზე.

690. საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულება საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის კომიტეტის შექმნის შესახებ.

691. საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულება ნ. ლ. ებანოიძის ხარაგაულის რაიონის პრეფექტის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ.

692. საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულება ნ. დ. შარვაძის საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის დაცვის სამსახურის უფროსად დანიშვნის შესახებ.

693. საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულება თ. ვ. ეპიტაშვილის შიდა ქართლში საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის საგანგებო რწმუნებულად დანიშვნის შესახებ.

694. საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულება ო. მ. ჯაფარიძის თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებლის თანამდებობიდან გათავისუფლების შესაეხბ.

695. საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულება რ. ვ. მეტრეველის თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებლად დანიშვნის შესახებ.

696. საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულება ბ. გ. აბესაძის ქ. ტყიბულის პრეფექტის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ.

697. საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულება მ. ი. ღვინეფაძის ქ. ტყიბულის პრეფექტის მოვალეობის შემსრულებლად დანიშვნის შესახებ.

698. საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულება დ. ო. ბალაძის ქ. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ.

699. საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულება ა. ა. ახვლედიანის ქ. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებლად დანიშვნის შესახებ.

700. საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულება ა. მ. ჩლაიძის საქართველოს რესპუბლიკის სოფლის, ტყის მეურნეობისა და კვების მრეწველობის მინისტრის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ.

701. საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულება თ. თ. ურუშაძის საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის მრჩევლად დანიშვნის შესახებ.

702. საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულება გ. ს. გაჩეჩილაძის საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის მრჩევლად დანიშვნის შესახებ.

703. საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულება ნ. ა. ჭითანავას საქართველოს რესპუბლიკის სოფლის, ტყის მეურნეობისა და კვების მრეწველობის მინისტრად დანიშვნის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

704. საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულება ქ. დ. საყვარელიძის ზეს-ტაფონის რაიონის პრეფექტის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ.

705. საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულება თ. ე. ყურაშვილის ხარაგაულის რაიონის პრეფექტის მოვალეობის შემსრულებლად დანიშვნის შესახებ.

706. საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულება ს. მ. ჯორბენაძის საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის მრჩევლად დანიშვნის შესახებ.

707. საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულება საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული გვარდიის მთავარი სამმართველოს თანამდებობის პირთა დანიშვნის შესახებ.

708. საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულება „საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის შესახებ კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს რესპუბლიკის 1991 წლის 11 ოქტომბრის კანონის შესახებ.

709. საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულება „აფხაზეთის სუვერენიტეტის ეკონომიკური საფუძვლების უზრუნველყოფის შესახებ“ აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებისა და „აფხაზეთის ასს რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული საკავშირო და საკავშირო-რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოთა და ორგანიზაციათა აფხაზეთის ასს რესპუბლიკის იურისდიქციაში გადასვლის ღონისძიებათა შესახებ“ აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს 1991 წლის 22 ოქტომბრის დადგენილების მოქმედების შეჩერების თაობაზე.

710. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება გ. შ. წუწუნავას ქ. თბილისის საბურთალოს რაიონის სასამართლოს მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ.

711. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება ჯ. მ. ბექაიშვილის ქ. თბილისის საარბიტრაჟო სასამართლოს წევრად დანიშვნის შესახებ.

712. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება ბ. ი. ვაწაძის ქ. თბილისის საარბიტრაჟო სასამართლოს წევრად დანიშვნის შესახებ.

713. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება მ. გ. კვეზერელის ქ. თბილისის საარბიტრაჟო სასამართლოს წევრად დანიშვნის შესახებ

714. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება გ. ზ. არველაძის ქ. თბილისის საარბიტრაჟო სასამართლოს წევრად დანიშვნის შესახებ.

715. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება ჯ. ტ. ჯალაღანიას ქ. თბილისის საარბიტრაჟო სასამართლოს თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ.

716. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება ზ. ნ. ჯიმშელეიშვილის ქ. ქუთაისის საარბიტრაჟო სასამართლოს თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ.

717. საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულება ქ. ცხინვალის, ჯავის რაიონისა და დაბა ჯავის ტერიტორიებზე საგანგებო წესების გაგრძელების შესახებ.

718. საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულება ზოგიერთი კატეგორიის არასრულწლოვან მსჯავრდებულთათვის სასჯელის შემსუბუქებისა და თავისუფლების აღკვეთის ადგილებიდან გათავისუფლების შესახებ.

719. საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულება გ. დ. თოფურიას საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის პრეზიდენტად დანიშვნის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

720. საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულება თ. უ. ლორიას საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრის მოადგილედ დანიშვნის შესახებ.

721. საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულება საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს თანამდებობის პირთა დანიშვნის შესახებ.

722. საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულება ვ. თ. ხუსკივაძის ზესტაფონის რაიონის პრეფექტის მოვალეობის შემსრულებლად დანიშვნის შესახებ.

723. საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულება წმ. ნინოს ტაძართან და წმ. სტეფანე ხირსელის მონასტერთან არსებული სასულიერო სასწავლებლებისათვის სტატუსის მინიჭების შესახებ.

**საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიერ მიღებული კანონები და დადგენილებები**

(5—6 ოქტომბერი)

724. საქართველოს რესპუბლიკის კანონი „საგანგებო წესების შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე.

725. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება „ქ. თბილისში 1991 წლის 25 სექტემბრიდან საგანგებო წესების გამოცხადების შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულების დამტკიცების თაობაზე.

(8 ოქტომბერი)

726. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენლობით ორგანოებში საქართველოს კომპარტიისაგან არჩეული დეპუტატების უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ.

727. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება „აფხაზეთის რესპუბლიკური საბაჟო სამსახურის შექმნის შესახებ" აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის 1991 წლის 27 სექტემბრის დადგენილების თაობაზე.

728. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება საქართველოს რესპუბლიკის ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო დეპარტამენტის მუშაობასთან დაკავშირებით უზენაესი საბჭოს კომისიის შექმნის შესახებ.

729. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება ქ. თბილისსა და რესპუბლიკის სხვა რეგიონებში 1991 წლის 4-5 ოქტომბრის მოვლენების შესწავლის მიზნით საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს კომისიის შექმნის შესახებ.

(9 ოქტომბერი)

730. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება საქართველოს რესპუბლიკაში სსრ კავშირის ჟურნალ-გაზეთების გავრცელებისა და ცენტრალური ტელევიზიის გადაცემების აღდგენის შესახებ.

731. საქართველოს რესპუბლიკის კანონი „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა



732. საქართველოს რესპუბლიკის კანონი „საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრის სტატუსის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე.

733. საქართველოს რესპუბლიკის კანონი „საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრის გაწვევის წესის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

734. საქართველოს რესპუბლიკის კანონი „საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოს — საკრებულოს წევრის სტატუსის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონში დამატების შეტანის თაობაზე.

735. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის 1991 წლის 10 აგვისტოს მიღებული კანონის მე-4 და მე-7 მუხლების განმარტების თაობაზე.

736. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის კომიტეტის შექმნის შესახებ.

737. საქართველოს რესპუბლიკის კანონი „საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

(11 ოქტომბერი)

738. საქართველოს რესპუბლიკის კანონი საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილებისა და დამატების შეტანის თაობაზე.

739. საქართველოს რესპუბლიკის კანონი ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სამართლის ნორმებისათვის კონსტიტუციური კანონის ძალის მინიჭებისა და საქართველოს რესპუბლიკაში მათი პირდაპირი მოქმედების შესახებ.

740. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება ეკონომიკურ რეფორმასთან დაკავშირებით საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის ინფორმაციის გამო

741. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება სახელმწიფო ქონების პრივატიზების ჩატარების ორგანიზაციულ ღონისძიებათა შესახებ.

742. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება ზამთრისათვის მზადების თაობაზე საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის ანგარიშის გამო.

743. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება მიწისძვრით დაზიანებულ რაიონებში კაპიტალურ დაბანდებათა 1991 წლის საბიუჯეტო ასიგნებების გადიდების შესახებ.

744. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოში დეპუტატთა არჩევნების № 11 თბილისის ვაჟა ფშაველას საარჩევნო ოლქში კენჭისყრის თარიღის გადატანის შესახებ.

(30 ოქტომბერი)

745. საქართველოს რესპუბლიკის კანონი საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს არჩევნების შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



746. საქართველოს რესპუბლიკის კანონი საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრის გაწვევის წესის შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე.

747. საქართველოს რესპუბლიკის კანონი საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

748. საქართველოს რესპუბლიკის კანონი ამნისტიის შესახებ.

749. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის 1991 წლის 30 ოქტომბრის კანონის გამოყენების წესის თაობაზე.

750. საქართველოს რესპუბლიკის კანონი „საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

751. საქართველოს რესპუბლიკის კანონი საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ.

752. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება ეკონომიკური თანამშრომლობის შესახებ.

(31 ოქტომბერი)

753. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება თბილისის მეტროპოლიტენისათვის ვაგონების შესაძენად საბიუჯეტო ასიგნებათა გამოყოფის შესახებ.

754. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება საქართველოს სამოქალაქო ავიაციისათვის სამგზავრო თვითმფრინავების შესაძენად საბიუჯეტო ასიგნებათა გამოყოფის შესახებ.

755. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება ჯ. მ. ფირცხალაიშვილის საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრად დანიშვნის შესახებ.

756. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება ა. მ. ჭლიკაძის საქართველოს რესპუბლიკის სოფლის, ტყის მეურნეობისა და კვების მრეწველობის მინისტრის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ.

757. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება ნ. ა. ჭითანავას საქართველოს რესპუბლიკის სოფლის, ტყის მეურნეობისა და კვების მრეწველობის მინისტრად დანიშვნის შესახებ.

758. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკისა და ფინანსთა სამინისტროსათვის საბიუჯეტო ასიგნებათა გამოყოფის შესახებ.

759. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება გ. დ. თოფურიას საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის პრეზიდენტად დანიშვნის შესახებ.

(1 ნოემბერი)

760. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება „ბინების პრივატიზების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის პირველი მოსმენით მიღების თაობაზე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

761. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება სასოფლო-სამეურნეო, კვებისა და გადამმუშავებელი მრეწველობის საწარმოთათვის ბანკის ვადაგადაცილებული დავალიანების ჩამოწერასთან დაკავშირებით არსებული მდგომარეობის შესასწავლად შექმნილი საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოსა და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის ერთობლივი კომისიის დასკვნის შესახებ.

762. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს იურიდიული მუდმივი კომისიის თავმჯდომარედ კ. ა. ფირცხალავას არჩევის შესახებ.

763. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს იურიდიული მუდმივი კომისიის არჩევის შესახებ.

763. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ადამიანის უფლებათა დაცვის მუდმივი კომისიის თავმჯდომარის ა. პ. იმნაძის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ.

765. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ადამიანის უფლებათა დაცვის მუდმივი კომისიის თავმჯდომარედ ზ. დ. ქობალიას არჩევის შესახებ.

766. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს საგარეო ურთიერთობათა მუდმივი კომისიის თავმჯდომარის თ. შ. პაატაშვილის თანამდებობიდან გადადგომის შესახებ.

767. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს საგარეო ურთიერთობათა მუდმივი კომისიის თავმჯდომარედ მ. მ. თუშმალიშვილის არჩევის შესახებ.

768. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის მოქმედების დროებით შეჩერების თაობაზე.

769. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის საქმიანობის უზრუნველყოფის, მომსახურებისა და დაცვის შესახებ.

## განყოფილება მესამე

770. მიმართვა საქართველოს მოსახლეობას.

771. მანიფესტაციის ორგანიზატორებსა და მონაწილეებს.

772. რეზოლუცია.

773. დეკლარაცია.

774. უზბეკეთის რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს.

775. საბჭოთა კავშირის პრეზიდენტს ბატონ მიხეილ გორბაჩოვს, რუსეთის საბჭოთა სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტს ბატონ ბორის ელცინს, სსრ კავშირის სახელმწიფო საბჭოს, რსფსრ უზენაეს საბჭოს.

776. ყირგიზეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს ბატონ ასკარ აკაევს.

777. მის აღმატებულებას, სომხეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს ბატონ ლევონ ტერ-პეტროსიანს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



778. მის აღმატებულებას, სსრ კავშირის პრეზიდენტს ბატონ მიხეილ გორბაჩოვს.
779. მიმართვა აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმს.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სხდომები.

ეროვნული ბიბლიოთეკა



## განყოფილება პირველი

### საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის

### დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

**678 საქართველოს რესპუბლიკის სასამართლოების მსაჯულთა უფლებამოსილების ვადის გაგრძელების შესახებ**

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

საქართველოს რესპუბლიკის სასამართლოების მსაჯულთა რწმუნების ვადის გასვლასთან დაკავშირებით გაუგრძელდეთ უფლებამოსილების ვადა საქართველოს რესპუბლიკის რაიონის (ქალაქის), თბილისის საქალაქო სასამართლოების მსაჯულებს 1991 წლის 1 დეკემბრამდე.

**საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე აკაკი ასათიანი.**

თბილისი, 1991 წლის 2 ოქტომბერი.

### საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის

### დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

**679 საქართველოს რესპუბლიკის რაიონის (ქალაქის) სასამართლოების მოსამართლეთა დანიშვნის შესახებ**

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

საქართველოს რესპუბლიკის რაიონის (ქალაქის) სასამართლოების მოსამართლეთა დანიშვნის ვადა გადადებულ იქნეს 1991 წლის 1 დეკემბრამდე.

**საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე აკაკი ასათიანი.**

თბილისი, 1991 წლის 2 ოქტომბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



## საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

## ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

### 680 თ. მ. ვაშაძის ქ. თბილისის მერის მოვალეობის დროებით შემსრულებლად დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს თამაზ მიხეილის ძე ვაშაძე ქალაქ თბილისის მერის მოვალეობის დროებით შემსრულებლად.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი **ზვიად გამსახურდია.**

თბილისი, 1991 წლის 2 ოქტომბერი.

## საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

## ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

### 681 ჯ. კ. დავლიანიძის კასპის რაიონის პრეფექტის მოვალეობის შემსრულებლად დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს ჯემალ კონსტანტინეს ძე **დავლიანიძე** კასპის რაიონის პრეფექტის მოვალეობის შემსრულებლად.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი **ზვიად გამსახურდია.**

თბილისი, 1991 წლის 2 ოქტომბერი.

## საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

## ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

### 682 მ. ა. თოდუას ა. წერეთლის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებლად დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს მაგალი არეს ძე **თოდუა** ა. წერეთლის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებლად.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი **ზვიად გამსახურდია.**

თბილისი, 1991 წლის 3 ოქტომბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

## ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

### 683 ა. ლ. ჩიტაძის ქ. რუსთავის პრეფექტის მოვალეობის დროებით შემსრულებლად დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს ავთანდილ ლავრენტის ძე **ჩიტაძე** ქ. რუსთავის პრეფექტის მოვალეობის დროებით შემსრულებლად.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი **ზვიად გამსახურდია.**

თბილისი, 1991 წლის 7 ოქტომბერი.

## საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

## ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

### 684 გ. პ. ჩაკვეტაძის ქ. წყალტუბოს ზონის პრეფექტის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ

გათავისუფლდეს გიორგი პეტრეს ძე **ჩაკვეტაძე** ქ. წყალტუბოს ზონის პრეფექტის თანამდებობიდან სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი **ზვიად გამსახურდია.**

თბილისი, 1991 წლის 7 ოქტომბერი.

## საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

## ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

### 685 თ. ს. კაკუშაძის ქ. წყალტუბოს ზონის პრეფექტის მოვალეობის შემსრულებლად დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს თამაზ სერგის ძე **კაკუშაძე** ქ. წყალტუბოს ზონის პრეფექტის მოვალეობის შემსრულებლად.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი **ზვიად გამსახურდია.**

თბილისი, 1991 წლის 7 ოქტომბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის

## დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

### 686 მ. ბ. ფაჩუაშვილის გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ მთავარი რედაქტორის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

გათავისუფლდეს მამუკა ბონდოს ძე **ფაჩუაშვილი** გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ მთავარი რედაქტორის თანამდებობიდან სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით, პირადი განცხადების საფუძველზე.

**საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე აკაკი ასათიანი.**

თბილისი, 1991 წლის 8 ოქტომბერი.

## საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის

## დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

### 687 გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ მთავარ რედაქტორად მ. ა. აბაიშვილის დანიშვნის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დაინიშნოს მარიკა ანზორის ასული **აბაიშვილი** გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ მთავარ რედაქტორად.

**საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე აკაკი ასათიანი.**

თბილისი, 1991 წლის 8 ოქტომბერი.

## საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის

## დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

### 688 ჩეჩნეთის რესპუბლიკისა და ყირგიზეთის რესპუბლიკის პრეზიდენტების არჩევნებზე მეთვალყურეების მივლინების შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დაევალოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას უზრუნველყოს ჩეჩნეთის რესპუბლიკისა და ყირგიზეთის რესპუბლიკის პრეზიდენტების არჩევნებზე მეთვალყურეობის მივლინება.

**საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე აკაკი ასათიანი.**

თბილისი, 1991 წლის 8 ოქტომბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



## საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

## ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

**689 „აფხაზეთის რესპუბლიკური საბაჟო სამსახურის შექმნის შესახებ“ აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის 1991 წლის 27 სექტემბრის დადგენილების მოქმედების შეჩერების თაობაზე**

1991 წლი 27 სექტემბერს აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო გადაწყვეტილება აფხაზეთის რესპუბლიკური საბაჟო სამსახურის შექმნის შესახებ, რომლის სტრუქტურის, შტატებისა და საქმიანობის საკითხები შეუთანხმა სსრკ საბაჟო კომიტეტს.

პრეზიდიუმის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება საქართველოს რესპუბლიკის 1991 წლის 15 სექტემბრის კანონს „საბაჟოს შესახებ“. რომელიც ავტონომიური რესპუბლიკის გამგებლობას არ მიაკუთვნებს საბაჟო სამსახურების შექმნას; ეწინააღმდეგება აგრეთვე საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის 82-ე მუხლს, რომლის თანახმადაც საქართველოს რესპუბლიკის კანონები სავალდებულოა და თანაბარი ძალით მოქმედებენ ავტონომიური რესპუბლიკების ტერიტორიებზე.

გარდა ამისა, პრეზიდიუმმა დაარღვია აფხაზეთის ასსრ კონსტიტუციის 103-ე მუხლი, რომელიც არ ანიჭებს მას კანონმდებლობითი ხასიათის გადაწყვეტილებათა მიღების უფლებას. ამით პრეზიდიუმმა გადააჭარბა თავის უფლებამოსილებას.

ზემოთქმულის საფუძველზე, ვხელმძღვანელობ რა საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის $121^4$ მუხლის მე-13 პუნქტით, **ვადგენ:**

შეჩერდეს მოქმედება აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის 1991 წლის 27 სექტემბრის დადგენილებისა „აფხაზეთის რესპუბლიკური საბაჟო სამსახურის შექმნის შესახებ“, რომელიც ეწინააღმდეგება როგორც საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციას, ასევე აფხაზეთის ასსრ კონსტიტუციას.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი **ზვიად გამსახურდია.**

თბილისი, 1991 წლის 8 ოქტომბერი.

## საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

## ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

### 690 საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის კომიტეტის შექმნის შესახებ

1. „საქართველოს რესპუბლიკაში სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის 1991 წლის 9 აგვისტოს კანონის შესაბამისად შეიქმნას საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის კომიტეტი. ამავე კომიტეტს დაეკისროს ანტიმონოპოლიური პოლიტიკისა და თავისუფალი მეწარმეობის მხარდამჭერი ღონისძიებების გატარება.

2. საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობა შეასრულოს საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა.

3. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა სახელმწიფო ქონების მართვის კომიტეტის განთავსებისა და მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვის საკითხები გადაწყვიტოს 10 დღის ვადაში.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი **ზვიად გამსახურდია.**

თბილისი, 1991 წლის 9 ოქტომბერი.

## საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

## ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

### 691 ნ. ლ. ებანოიძის ხარაგაულის რაიონის პრეფექტის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ

გათავისუფლდეს ნოდარ ლეონიდეს ძე **ებანოიძე** ხარაგაულის რაიონის პრეფექტის თანამდებობიდან პირადი განცხადების საფუძველზე.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი **ზვიად გამსახურდია.**

თბილისი, 1991 წლის 10 ოქტომბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

## ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

### 692 ნ. დ. შარვაძის საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის დაცვის სამსახურის უფროსად დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს ნიკოლოზ დიმიტრის ძე შარვაძე საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის დაცვის სამსახურის უფროსად.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი **ზვიად გამსახურდია.**

თბილისი, 1991 წლის 12 ოქტომბერი.

## საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

## ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

### 693 თ. ვ. ეპიტაშვილის შიდა ქართლში საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის საგანგებო რწმუნებულად დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს პოლკოვნიკი თენგიზ ვასილის ძე ეპიტაშვილი საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის საგანგებო რწმუნებულად შიდა ქართლში.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი **ზვიად გამსახურდია.**

თბილისი, 1991 წლის 14 ოქტომბერი.

## საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

## ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

### 694 ო. მ. ჯაფარიძის თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებლის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ

გათავისუფლდეს ოთარ მიხეილის ძე ჯაფარიძე თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებლის თანამდებობიდან პირადი განცხადების საფუძველზე.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი **ზვიად გამსახურდია.**

თბილისი, 1991 წლის 15 ოქტომბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



## საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

## ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

**695** **რ. ვ. მეტრეველის თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებლად დანიშვნის შესახებ**

დაინიშნოს როინ ვიქტორის ძე მეტრეველი თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებლად.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია.

თბილისი, 1991 წლის 15 ოქტომბერი.

## საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

## ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

**696** **ბ. გ. აბესაძის ქ. ტყიბულის პრეფექტის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ**

გათავისუფლდეს ბექან გოგიტას ძე აბესაძე ქ. ტყიბულის პრეფექტის თანამდებობიდან პირადი განცხადების საფუძველზე.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია.

თბილისი, 1991 წლის 15 ოქტომბერი.

## საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

## ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

**697** **მ. ი. ღვინეფაძის ქ. ტყიბულის პრეფექტის მოვალეობის შემსრულებლად დანიშვნის შესახებ**

დაინიშნოს მერაბ იასონის ძე ღვინეფაძე ქ. ტყიბულის პრეფექტის მოვალეობის შემსრულებლად.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია.

თბილისი, 1991 წლის 15 ოქტომბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

## ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

### 698 დ. ო. ბალაძის ქ. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ

გათავისუფლდეს დურსუნ ოსმანის ძე **ბალაძე** ქ. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის თანამდებობიდან.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი **ზვიად გამსახურდია.**

თბილისი, 1991 წლის 17 ოქტომბერი.

## საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

## ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

### 699 ა. ა. ახვლედიანის ქ. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებლად დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს აზიზ არიფის ძე **ახვლედიანი** ქ. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებლად.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი **ზვიად გამსახურდია.**

თბილისი, 1991 წლის 17 ოქტომბერი.



საქართველოს პარლამენტი ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა



## საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

## ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

### 700 ა. მ. ჭლიკაძის საქართველოს რესპუბლიკის სოფლის, ტყის მეურნეობისა და კვების მრეწველობის მინისტრის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ

გათავისუფლდეს ანზორ მიხეილის ძე **ჭლიკაძე** საქართველოს რესპუბლიკის სოფლის, ტყის მეურნეობისა და კვების მრეწველობის მინისტრის თანამდებობიდან პირადი განცხადების საფუძველზე.

**საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია.**

თბილისი, 1991 წლის 17 ოქტომბერი.

## საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

## ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

### 701 თ. თ. ურუშაძის საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის მრჩევლად დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს თენგიზ თედორეს ძე **ურუშაძე** საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის მრჩევლად ეკოლოგიის საკითხებში.

**საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია.**

თბილისი, 1991 წლის 18 ოქტომბერი.

## საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

## ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

### 702 გ. ს. გაჩეჩილაძის საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის მრჩევლად დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს გიორგი სიმონის ძე **გაჩეჩილაძე** საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის მრჩევლად ერთაშორისი ურთიერთობების საკითხებში.

**საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია.**

თბილისი, 1991 წლის 18 ოქტომბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის
## ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

### 703 ნ. ა. ჭითანავას საქართველოს რესპუბლიკის სოფლის, ტყის მეურნეობისა და კვების მრეწველობის მინისტრად დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს ნოდარ ამროსის ძე **ჭითანავა** საქართველოს რესპუბლიკის სოფლის, ტყის მეურნეობისა და კვების მრეწველობის მინისტრად.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი **ზვიად გამსახურდია.**

თბილისი, 1991 წლის 19 ოქტომბერი.

## საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის
## ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

### 704 ჟ. დ. საყვარელიძის ზესტაფონის რაიონის პრეფექტის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ

გათავისუფლდეს ჟანი დიმიტრის ძე **საყვარელიძე** ზესტაფონის რაიონის პრეფექტის თანამდებობიდან.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი **ზვიად გამსახურდია.**

თბილისი, 1991 წლის 22 ოქტომბერი.

## საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის
## ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

### 705 თ. ე. ყურავას ხარაგაულის რაიონის პრეფექტის მოვალეობის შემსრულებლად დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს თეიმურაზ ერასტის ძე **ყურავა** ხარაგაულის რაიონის პრეფექ-ტის მოვალეობის შემსრულებლად.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი **ზვიად გამსახურდია.**

თბილისი, 1991 წლის 23 ოქტომბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



## საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

## ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

### 706 ს. მ. ჯორბენაძის საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის მრჩევლად დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს სერგი მანასეს ძე **ჯორბენაძე** საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის მრჩევლად ჰუმანიტარულ და სამართლებრივ საკითხებში.

**საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია.**

თბილისი, 1991 წლის 23 ოქტომბერი.

## საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

## ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

### 707 საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული გვარდიის მთავარი სამმართველოს თანამდებობის პირთა დანიშვნის შესახებ

1. დაინიშნონ ქვემოთ ჩამოთვლილი პირნი ეროვნული გვარდიის მთავარი სამმართველოს შემდეგ თანამდებობებზე:

პოლკოვნიკი გუჯარ მიხეილის ძე **ყურაშვილი** — ეროვნული გვარდიის მთავარი სამმართველოს უფროსის პირველ მოადგილედ, ქ. თბილისის გარნიზონის უფროსად;

პოდპოლკოვნიკი როზლანდ მიხეილის ძე **ლაკია** — მთავარი სამმართველოს შტაბის უფროსად — ეროვნული გვარდიის მთავარი სამმართველოს უფროსის პირველ მოადგილედ;

კუკური სევერიანეს ძე **სორდია** — ეროვნული გვარდიის მთავარი სამმართველოს ინსპექციის განყოფილების უფროსად — მთავარი სამმართველოს უფროსის მრჩევლად;

პოდპოლკოვნიკი რევაზ გუგუშას ძე **ფოჩხუა** — ეროვნული გვარდიის მთავარი სამმართველოს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების განყოფილების უფროსად;

მერაბ იმედოს ძე **პაპასკირი** — ეროვნული გვარდიის მთავარი სამმართველოს კადრების განყოფილების უფროსად;

თეიმურაზ ბოჩოს ძე **თოდრია** — მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების განყოფილების უფროსის მოადგილედ — ზურგში შტაბის უფროსად.

2. ბრძანებულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

**საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია.**

თბილისი, 1991 წლის 23 ოქტომბერი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



## საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

## ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

### 708 „საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის შესახებ კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს რესპუბლიკის 1991 წლის 11 ოქტომბრის კანონის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის $121^{4}$ და 110 მუხლების შესაბამისად **ვადგენ:**

1. „საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის შესახებ კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს რესპუბლიკის 1991 წლის 11 ოქტომბრის კანონი ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს.

2. საკანონმდებლო ინიციატივის წესით დაისვას საკითხი საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წინაშე, რათა აღნიშნული კანონი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„შეტანილ იქნეს „საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის 1991 წლის 27 აგვისტოს კანონში შემდეგი ცვლილებები: 26

1. მე-9 მუხლის მე-2 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს უფლება აქვს კაბინეტის ცალკეულ წევრს, კომიტეტის ან დეპარტამენტის ხელმძღვანელს მოსთხოვოს ანგარიში. კაბინეტის წევრის საქმიანობის არადამაკმაყოფილებლად შეფასებისას შეიძლება დაისვას დაკავებულ თანამდებობაზე მისი დატოვების მიზანშეწონილობის საკითხი“.

2. 21-ე მუხლის მესამე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„კომიტეტებისა და დეპარტამენტების ხელმძღვანელებს მინისტრთა კაბინეტის წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოსთან შეთანხმებით“.

**საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია.**

თბილისი, 1991 წლის 23 ოქტომბერი.

1991წ, 11 ოქტომბრის კანონი არ არის!

ეროვნული ბიბლიოთეკა



## საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

**709 „აფხაზეთის სუვერენიტეტის ეკონომიკური საფუძვლების უზრუნველყოფის შესახებ“ აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებისა და „აფხაზეთის ასს რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული საკავშირო და საკავშირო-რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოთა და ორგანიზაციათა აფხაზეთის ასს რესპუბლიკის იურისდიქციაში გადასვლის ღონისძიებათა შესახებ“ აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს 1991 წლის 22 ოქტომბრის დადგენილების მოქმედების შეჩერების თაობაზე**

აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო დადგენილება „აფხაზეთის სუვერენიტეტის ეკონომიკური საფუძვლების უზრუნველყოფის შესახებ“. ამასთან დაკავშირებით აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭომ 1991 წლის 22 ოქტომბერს მიიღო დადგენილება „აფხაზეთის ასს რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული საკავშირო და საკავშირო-რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოთა და ორგანიზაციათა აფხაზეთის ასს რესპუბლიკის იურისდიქციაში გადასვლის ღონისძიებათა შესახებ“. მინისტრთა საბჭოს ამავე დადგენილებით დამტკიცდა შესაბამისი დებულებანი და შეიქმნა სამუშაო კომისია, რომელსაც დაეკისრა მოვალეობა ამ მიმართულებით მუშაობის კოორდინაციის განსახორციელებლად.

დებულება ითვალისწინებს აფხაზეთის სახელმწიფო საკუთრებაში საწარმოთა და ორგანიზაციათა უსასყიდლო გადაცემას, რომლებიც ამ გზით გადადის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იურისდიქციაში.

უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ეს დადგენილება და მისგან გამომდინარე აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილება უკანონოა და უთუოდ უნდა გაუქმდეს შემდეგ საფუძვლებზე:

დადგენილებათა მიღება, რომლებიც არეგლამენტებენ საკავშირო და საკავშირ-რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოთა და ორგანიზაციათა გადასვლას მათი ადგილმდებარეობის მიუხედავად აფხაზეთის იურისდიქციაში, სცილდება აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის უფლებამოსილებათა ფარგლებს;

დარღვეულია საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის დებულებანი, რომელთა შესაბამისად ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების ფლობასთან, გამოყენებასა და განკარგვასთან დაკავშირებულ საკითხებს წყვეტენ მისი ხელისუფლებისა და მართვის ორგანოები საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოსთან და მთავრობასთან შეთანხმებით.

ზემოთქმულის საფუძველზე **ვადგენ:**

1. შეჩერდეს „აფხაზეთის სუვერენიტეტის ეკონომიკური საფუძვლების უზრუნველყოფის შესახებ“ აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებისა და „აფხაზეთის ასს რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული საკავშირო და საკავშირო-რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოთა და ორგანიზაციათა აფხაზეთის ასს რესპუბლიკის იურისდიქციაში გადასვლის ღო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნისძიებათა შესახებ“ აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს 1991 წლის 22 ოქტომბრის დადგენილების მოქმედება და მიჩნეულ იქნეს ისინი იურიდიული ძალის არმქონედ.

2. წინადადება მიეცეს ახლად არჩეულ აფხაზეთის ასსრ უზენაეს საბჭოს დაუბრუნდეს ამ საკითხის განხილვას.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი **ზვიად გამსახურდია.**

თბილისი, 1991 წლის 24 ოქტომბერი.

## საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის

## დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

### 710 გ. შ. წუწუნავას ქ. თბილისის საბურთალოს რაიონის სასამართლოს მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

ვადამდე გათავისუფლდეს გია შოთას ძე **წუწუნავა** ქ. თბილისის საბურთალოს რაიონის სასამართლოს მოსამართლის თანამდებობიდან პირადი განცხადების საფუძველზე.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე **აკაკი ასათიანი.**

თბილისი, 1991 წლის 25 ოქტომბერი.

## საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის

## დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

### 711 ჯ. მ. ბეჟანიშვილის ქ. თბილისის საარბიტრაჟო სასამართლოს წევრად დანიშვნის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დაინიშნოს ჯემალ მიხეილის ძე **ბეჟანიშვილი** ქ. თბილისის საარბიტრაჟო სასამართლოს წევრად.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე **აკაკი ასათიანი.**

თბილისი, 1991 წლის 25 ოქტომბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



## საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის

## დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

### 712 ბ. ი. ვაწაძის ქ. თბილისის საარბიტრაჟო სასამართლოს წევრად დანიშვნის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**
დაინიშნოს ბადრი იაშას ძე **ვაწაძე** ქ. თბილისის საარბიტრაჟო სასამართლოს წევრად.

**საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ᲐᲙᲐᲙᲘ ᲐᲡᲐᲗᲘᲐᲜᲘ.**

თბილისი, 1991 წლის 25 ოქტომბერი.

## საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის

## დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

### 713 მ. გ. კვეზერელის ქ. თბილისის საარბიტრაჟო სასამართლოს წევრად დანიშვნის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**
დაინიშნოს მარიამ გიორგის ასული **კვეზერელი** ქ. თბილისის საარბიტრაჟო სასამართლოს წევრად.

**საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ᲐᲙᲐᲙᲘ ᲐᲡᲐᲗᲘᲐᲜᲘ.**

თბილისი, 1991 წლის 25 ოქტომბერი.

## საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის

## დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

### 714 გ. ზ. არველაძის ქ. თბილისის საარბიტრაჟო სასამართლოს წევრად დანიშვნის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**
დაინიშნოს გრიგოლ ზაურის ძე **არველაძე** ქ. თბილისის საარბიტრაჟო სასამართლოს წევრად.

**საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ᲐᲙᲐᲙᲘ ᲐᲡᲐᲗᲘᲐᲜᲘ.**

თბილისი, 1991 წლის 25 ოქტომბერი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



## საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის

## დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

### 715 ჯ. ტ. ჯალაღანიას ქ. თბილისის საარბიტრაჟო სასამართლოს თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**
დაინიშნოს ჯონი ტრიფონის ძე **ჯალაღანია** ქ. თბილისის საარბიტრაჟო სასამართლოს თავმჯდომარედ.

**საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე აკაკი ასათიანი.**

თბილისი, 1991 წლის 25 ოქტომბერი.

## საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის

## დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

### 716 ზ. ნ. ჯიმშელეიშვილის ქ. ქუთაისის საარბიტრაჟო სასამართლოს თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**
დაინიშნოს ზურაბ ნიკოლოზის ძე **ჯიმშელეიშვილი** ქ. ქუთაისის საარბიტრაჟო სასამართლოს თავმჯდომარედ.

**საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე აკაკი ასათიანი.**

თბილისი, 1991 წლის 25 ოქტომბერი.

## საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

## ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

### 717 ქ. ცხინვალის, ჯავის რაიონისა და დაბა ჯავის ტერიტორიებზე საგანგებო წესების გაგრძელების შესახებ

გაგრძელდეს საგანგებო წესები ქ. ცხინვალში, ჯავის რაიონსა და დაბა ჯავის ტერიტორიაზე 1991 წლის 28 ოქტომბრიდან ერთი თვის ვადით.
კომენდანტის საათის მოქმედების ხანგრძლივობა განისაზღვროს 22.00-დან 7.00 საათამდე.

**საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია.**

თბილისი, 1991 წლის 25 ოქტომბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



## საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

## ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

### 718 ზოგიერთი კატეგორიის არასრულწლოვან მსჯავრდებულთათვის სასჯელის შემსუბუქებისა და თავისუფლების აღკვეთის ადგილებიდან გათავისუფლების შესახებ

ჰუმანიზმის პრინციპებიდან გამომდინარე და იმის გათვალისწინებით, რომ ზოგიერთი კატეგორიის არასრულწლოვანი მსჯავრდებულის თავისუფლების აღკვეთის ადგილებში ყოფნა მიზანშეუწონელია და რომ რესპუბლიკაში შრომა-აღმზრდელობითი დაწესებულების არარსებობის გამო ამჟამად ირღვევა კანონის მოთხოვნები არასრულწლოვანთა მიერ სასჯელის მოხდის პირობების შესახებ, **ვადგენ:**

1. გათავისუფლდნენ თავისუფლების აღკვეთის სახით სასჯელისაგან, აგრეთვე ისეთი სასჯელისაგან, რომელიც არ არის დაკავშირებული თავისუფლების აღკვეთასთან, საქართველოს რესპუბლიკის სასამართლოების მიერ მსჯავრდებულნი, ვისაც დანაშაულის ჩადენის დროისათვის არ შესრულებია 18 წელი.

2. წარმოებით შეწყდეს ყველა საგამოძიებო საქმე და სასამართლოებში განუხილველი საქმეები დანაშაულთა გამო, რომლებიც ამ ბრძანებულების ძალაში შესვლამდე ჩაიდინეს იმ პირებმა, რომლებსაც დანაშაულის ჩადენის დროისათვის არ შესრულებიათ 18 წელი.

3. სასჯელისაგან არ თავისუფლდებიან არასრულწლოვნები, რომლებსაც თავისუფლების აღკვეთა მისჯილი აქვთ სამ წელზე მეტი ვადით შემდეგი მძიმე დანაშაულისათვის:

ა) სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული განსაკუთრებით საშიში დანაშაულის ჩადენისათვის (საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 65-73 მუხლები);

ბ) სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული შემდეგი სხვა დანაშაულის ჩადენისათვის: ბანდიტიზმი (მუხლი 78-ე), მასობრივი არეულობა (მუხლი მე-80);

გ) პიროვნების სიცოცხლის, ჯანმრთელობის, თავისუფლებისა და ღირსების წინააღმდეგ მიმართული შემდეგი დანაშაულის ჩადენისათვის: განზრახ მკვლელობა, ჩადენილი დამამძიმებელ გარემოებაში (მუხლი 104-ე), განზრახ მკვლელობა (მუხლი 105-ე), სხეულის განზრახ მძიმე დაზიანება (მუხლი 110-ე), გაუპატიურება დამამძიმებელ გარემოებაში (117-ე მუხლის მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილები), ყაჩაღობა (96-ე და 152-ე მუხლები), მილიციის მუშაკის ან სახალხო რაზმელის სიცოცხლის ხელყოფა ($209^1$ მუხლი);

დ) საზოგადოებრივი უშიშროებისა და საზოგადოებრივი წესრიგის წინააღმდეგ მიმართული შემდეგი დანაშაულისათვის: ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალის ან ფეთქებად ნივთიერებათა გატაცება (240-ე მუხლი), ნარკოტიკულ ნივთიერებათა უკანონო დამზადება, შეძენა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღება, ნარკოტიკულ ნივთიერებათა გატაცება, ნარკოტიკულ ნივთიერებათა ხმარებაზე დაყოლიება (252-ე, $252^1$, $252^3$ მუხლები);

ეროვნული ბიბლიოთეკა

ე) რომლებსაც ადრე მისჯილი ჰქონდათ თავისუფლების აღკვეთა ამ ბრძანებულების მე-3 მუხლის „ა"-„დ" პუნქტებში ჩამოთვლილი დანაშაულისათვის.

4. გაუნახევრდეთ სასჯელის მოუხდელი ნაწილი იმ მსჯავრდებულებს, რომლებსაც ამ ბრძანებულების მე-3 მუხლში ჩამოთვლილი დანაშაულის ჩადენის დროისათვის არ შესრულებიათ 18 წელი.

5. ბრძანებულების შესრულება დაევალოთ: საგამოძიებო საქმეებზე — წინასწარი გამოძიების ორგანოებს; სასამართლოებში განუხილველ საქმეებზე, მათ შორის იმ საქმეებზე, რომლებიც განხილულია, მაგრამ განაჩენი კანონიერ ძალაში არ შესულა, აგრეთვე იმ მსჯავრდებულთა მიმართ, რომლებსაც საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 46-ე და $47^1$ მუხლების შესაბამისად სასჯელი შეეცვალათ პირობითი მსჯავრდებით ან განაჩენის აღსრულება გადაედოთ, — სასამართლოებს; მსჯავრდებულთა მიმართ, რომლებიც თავისუფლების აღკვეთის ადგილებში იმყოფებიან, — შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოებს.

6. ბრძანებულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი **ზვიად გამსახურდია.**

თბილისი, 1991 წლის 26 ოქტომბერი.

## საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

## ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

**719** **გ. დ. თოფურიას საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის პრეზიდენტად დანიშვნის შესახებ**

დაინიშნოს გია დანიელის ძე **თოფურია** საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის პრეზიდენტად.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი **ზვიად გამსახურდია.**

თბილისი, 1991 წლის 29 ოქტომბერი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



## საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

## ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

### 720 თ. უ. ლორიას საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრის მოადგილედ დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს თეიმურაზ უშანგის ძე **ლორია** საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრის მოადგილედ.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი **ზვიად გამსახურდია.**

თბილისი, 1991 წლის 29 ოქტომბერი.

## საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

## ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

### 721 საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს თანამდებობის პირთა დანიშვნის შესახებ

დაინიშნონ ქვემოჩამოთვლილი პირნი თავდაცვის სამინისტროს შემდეგ თანამდებობებზე:

პოლკოვნიკი შოთა მიხეილის ძე **ბაიაძე** — საბრძოლო მომზადების სამმართველოს უფროსად;

გენერალ-მაიორი პანტელეიმონ ივანეს ძე **გიორგაძე** — სასაზღვრო ჯარების სამმართველოს უფროსად;

პირველი რანგის კაპიტანი ალექსანდრე დავითის ძე **ჯავახიშვილი** — სამხედრო-საზღვაო ძალების სამმართველოს უფროსად.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი **ზვიად გამსახურდია.**

თბილისი, 1991 წლის 29 ოქტომბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

## ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

### 722 ვ. თ. ხუსკივაძის ზესტაფონის რაიონის პრეფექტის მოვალეობის შემსრულებლად დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს ვლადიმერ თამაზის ძე **ხუსკივაძე** ზესტაფონის რაიონის პრეფექტის მოვალეობის შემსრულებლად.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი **ზვიად გამსახურდია.**

თბილისი, 1991 წლის 30 ოქტომბერი.

## საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

## ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

### 723 წმ. ნინოს ტაძართან და წმ. სტეფანე ხირსელის მონასტერთან არსებული სასულიერო სასწავლებლისათვის სტატუსის მინიჭების შესახებ

1. მიენიჭოთ ბოდბის ეპარქიის წმ. ნინოს ტაძართან არსებულ დედათა სასულიერო სასწავლებელს და წმ. სტეფანე ხირსელის მონასტერთან არსებულ მამათა სასულიერო სასწავლებელს საშუალო სპეციალური სასწავლებლისა და ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლის სტატუსი და აყვანილ იქნენ შესაბამის ჩამონათვალში.

2. ნება დაერთოს წმ. ნინოს ტაძართან და წმ. სტეფანე ხირსელის მონასტერთან არსებულ სასულიერო სასწავლებლებს მიმდინარე წლიდან აწარმოონ მოსწავლეთა მიღება.

3. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს:

10 დღის ვადაში ბოდბის ეპარქიასთან შეთანხმებით განსაზღვროს წმ. ნინოს ტაძართან და წმ. სტეფანე ხირსელის მონასტერთან არსებულ სასულიერო სასწავლებლებში მისაღები კონტინგენტი და სპეციალობები;

უზრუნველყოს სასულიერო სასწავლებლები სათანადო მატერიალურ-ტექნიკური ბაზით.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი **ზვიად გამსახურდია.**

თბილისი, 1991 წლის 30 ოქტომბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



## საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიერ მიღებული კანონები და დადგენილებები

(5—6 ოქტომბერი)

### საქართველოს რესპუბლიკის კანონი

### 724 „საგანგებო წესების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

„საგანგებო წესების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის 1990 წლის 11 დეკემბრის კანონის მე-11 მუხლში სიტყვები „საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის, სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარების ნაწილები“ შეიცვალოს სიტყვებით „საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარები, საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის სამსახურები, საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროსა და ეროვნული გვარდიის ნაწილები“.

**საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია.**

თბილისი, 1991 წლის 5 ოქტომბერი.

### საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

### დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

### 725 „ქ. თბილისში 1991 წლის 25 სექტემბრიდან საგანგებო წესების გამოცხადების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულების დამტკიცების თაობაზე

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის 1991 წლის 24 სექტემბრის ბრძანებულება „ქ. თბილისში 1991 წლის 25 სექტემბრიდან საგანგებო წესების გამოცხადების შესახებ“.

ამ ბრძანებულების შესაბამისად ქ. თბილისის კომენდანტის მიერ გამოცხადებული კონკრეტული წესების გარდა ახალი შეზღუდვების შემოღება მოხდეს მხოლოდ საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოსთან შეთანხმებით.

**საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე აკაკი ასათიანი.**

**თბილისი, 1991 წლის 6 ოქტომბერი.**

ეროვნული
ბიბლიოთეკა



(8 ოქტომბერი)

## საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

## დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

### 726 საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენლობით ორგანოებში საქართველოს კომპარტიისაგან არჩეული დეპუტატების უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის მე-7 მუხლისა და „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის 1991 წლის 10 აგვისტოს კანონის პირველი და მე-10 მუხლების საფუძველზე საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა სასამართლომ 1991 წლის 26 აგვისტოს გადაწყვეტილებით საქართველოს რესპუბლიკაში აკრძალა საქართველოს კომპარტია და შეწყვიტა მისი, როგორც ორგანიზაციის, არსებობა და საქმიანობა, რითაც ფაქტობრივად გაუქმდა ამ პარტიის ლეგალიზება, რეგისტრაცია და საარჩევნო რეგისტრაცია. აქედან გამომდინარე, უნდა შეწყდეს კომპარტიის ყოველგვარი პოლიტიკური საქმიანობა, რომლის ძირითადი ფორმაა სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენლობით ორგანოებში მოქალაქეთა ამ პოლიტიკური გაერთიანების საარჩევნო სიებით არჩეული დეპუტატების მოღვაწეობა.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს**:

1. შეწყდეს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენლობით ორგანოებში (საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო, აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭო, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭო, საქართველოს რესპუბლიკის ქალაქების, რაიონების, ქალაქის რაიონების, თემების, დაბების და სოფლების საკრებულოები) საქართველოს კომპარტიის საარჩევნო სიებით (პროპორციული და მაჟორიტარული წესით) არჩეული დეპუტატების უფლებამოსილება.

2. ეს დადგენილება ძალაშია მიღებისთანავე.

**საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე აკაკი ასათიანი.**

თბილისი, 1991 წლის 8 ოქტომბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

## დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

### 727 „აფხაზეთის რესპუბლიკური საბაჟო სამსახურის შექმნის შესახებ“ აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის 1991 წლის 27 სექტემბრის დადგენილების თაობაზე

1991 წლის 27 სექტემბერს აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო დადგენილება „აფხაზეთის რესპუბლიკური საბაჟო სამსახურის შექმნის შესახებ“ მისი სტრუქტურის, შტატებისა და საქმიანობის საკითხების სსრ კავშირის საბაჟო კომიტეტთან შეთანხმებით.

აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ეს დადგენილება ეწინააღმდეგება „საქართველოს რესპუბლიკის საბაჟოს შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის 1991 წლის 15 სექტემბრის კანონს, რომელიც არ ითვალისწინებს ავტონომიურ რესპუბლიკებში რესპუბლიკური საბაჟო სამსახურების შექმნასა და ამ საკითხების გადაწყვეტას ავტონომიური რესპუბლიკის გამგებლობას არ მიაკუთვნებს.

აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ზემოაღნიშნული დადგენილება ეწინააღმდეგება აგრეთვე საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის 82-ე მუხლს, რომლის თანახმად საქართველოს რესპუბლიკის კანონები სავალდებულოა და ერთნაირი ძალა აქვთ ავტონომიური რესპუბლიკების ტერიტორიაზე.

აღსანიშნავია, რომ აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმმა ამ დადგენილების მიღებისას გადაამეტა აგრეთვე თვით აფხაზეთის ასსრ კონსტიტუციის 103-ე მუხლით დადგენილ უფლებამოსილებას.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულებით აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის 1991 წლის 27 სექტემბრის დადგენილების მოქმედება შეჩერებულია, რადგანაც იგი ეწინააღმდეგება საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციასა და კანონებს.

საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის 104-ე მუხლის მე-8 პუნქტის მიხედვით საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო უზრუნველყოფს საკანონმდებლო რეგულირების ერთიანობას საქართველოს რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე, ხოლო ამავე მუხლის 24-ე პუნქტის თანახმად საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო კონტროლს უწევს საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის დაცვასა და უზრუნველყოფს იმას, რომ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციები და კანონები შეესაბამებოდეს საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციასა და საქართველოს რესპუბლიკის კანონებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

1. ცნობილ იქნეს ბათილად და იურიდიული ძალის არმქონედ აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის 1991 წლის 27 სექტემბრის დადგენილება

ეროვნული
ბიბლიოთეკა

„აფხაზეთის რესპუბლიკური საბაჟო სამსახურის შექმნის შესახებ“, რადგანაც იგი ეწინააღმდეგება საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციას, საქართველოს რესპუბლიკის კანონებსა და აფხაზეთის ასსრ კონსტიტუციას.

2. წინადადება მიეცეს აფხაზეთის ასსრ უზენაეს საბჭოს გააუქმოს აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის 1991 წლის 27 სექტემბრის დადგენილება „აფხაზეთის რესპუბლიკური საბაჟო სამსახურის შექმნის შესახებ“.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე **აკაკი ასათიანი.**

თბილისი, 1991 წლის 8 ოქტომბერი.

## საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

## დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

### 728 საქართველოს რესპუბლიკის ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო დეპარტამენტის მუშაობასთან დაკავშირებით უზენაესი საბჭოს კომისიის შექმნის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

საქართველოს რესპუბლიკის ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო დეპარტამენტის მუშაობასთან დაკავშირებით შეიქმნას უზენაესი საბჭოს კომისია.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე **აკაკი ასათიანი.**

თბილისი, 1991 წლის 8 ოქტომბერი.

## საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

## დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

### 729 ქ. თბილისსა და რესპუბლიკის სხვა რეგიონებში 1991 წლის 4-5 ოქტომბერს მომხდარი მოვლენების შესწავლის მიზნით საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს კომისიის შექმნის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

ქ. თბილისსა და რესპუბლიკის სხვა რეგიონებში 1991 წლის 4-5 ოქტომბერს მომხდარი მოვლენების შესწავლის მიზნით შეიქმნას საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ეროვნული ბიბლიოთეკა



ნოდარ ნათაძე
დავით კუპრეიშვილი
ავთანდილ იმნაძე
ვალტერ შურღაია
მირიან მირიანაშვილი
კონსტანტინე ფირცხალავა
ვიქტორ დომუხოვსკი
მაია მაჭავარიანი
ბესიკ ქუთათელაძე
ზურაბ წიქარაძე
ნუგზარ მოლოდინაშვილი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ᲐᲙᲐᲙᲘ ᲐᲡᲐᲗᲘᲐᲜᲘ.

თბილისი, 1991 წლის 8 ოქტომბერი.

(9 ოქტომბერი)

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲣᲖᲔᲜᲐᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ

Დ Ა Დ Გ Ე Ნ Ი Ლ Ე Ბ Ა

**730** ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐᲨᲘ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲟᲣᲠᲜᲐᲚ-ᲒᲐᲖᲔᲗᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲕᲠᲪᲔᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲪᲔᲛᲔᲑᲘᲡ ᲐᲦᲓᲒᲔᲜᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს.

დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს საქართველოს რესპუბლიკაში სსრ კავშირის ჟურნალ-გაზეთების გავრცელებისა და ცენტრალური ტელევიზიის გადაცემების აღდგენა.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ᲐᲙᲐᲙᲘ ᲐᲡᲐᲗᲘᲐᲜᲘ.

თბილისი, 1991 წლის 9 ოქტომბერი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## საქართველოს რესპუბლიკის კანონი

## 731 „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

I. „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის 1991 წლის 10 აგვისტოს კანონში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. მე-5 მუხლის მე-3 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ამ კანონის ძალაში შესვლიდან ოთხი თვის განმავლობაში ვერც ერთი პოლიტიკური გაერთიანება ვერ დაირქმევს ადრე დაფუძნებული გაერთიანების სახელწოდებას".

2. კანონის მე-11 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-4 ნაწილი:

„საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს მიერ „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების აკრძალვის ან მისი თვითლიკვიდაციის შემთხვევაში ამ პოლიტიკური გაერთიანების ლეგალიზაცია, იურიდიულ პირად რეგისტრაცია და საარჩევნო რეგისტრაცია უქმდება, ხოლო მისი პარტიული სიით (მაჟორიტარული, პროპორციული) სახელმწიფო ხელისუფლების ყველა წარმომადგენლობით ორგანოში არჩეული დეპუტატების უფლებამოსილება წყდება".

3. კანონის მე-13 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-8 ნაწილი:

„მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების საქმიანობის შეწყვეტისას მისი საკუთრების საკითხი გადაწყდება კანონით დადგენილი წესით".

II. ეს კანონი ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი **ზვიად გამსახურდია.**

თბილისი, 1991 წლის 9 ოქტომბერი.

## საქართველოს რესპუბლიკის კანონი

## 732 „საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრის სტატუსის შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

I. „საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრის სტატუსის შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის 1990 წლის 27 დეკემბრის კანონში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

ეროვნული
ბიბლიოთეკა

1. კანონის მე-5 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-8 და მე-9 აბზაცები:

„საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების საქმიანობის შეწყვეტისას (სასამართლო წესით მისი აკრძალვის ან თვითლიკვიდაციის შემთხვევებში);

უზენაესი საბჭოს წევრის გაწვევისას".

2. კანონის მე-6 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-4 და მე-5 პუნქტები:

„4) უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმს, დეპუტატის უფლებამოსილების საკითხის გადაწყვეტამდე იმ შემთხვევაში, თუკი შეწყდება საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეთა იმ პოლიტიკური გაერთიანების საქმიანობა (აიკრძალება სასამართლო წესით ან მოხდება ამ გაერთიანების თვითლიკვიდაცია), რომლის პარტიული სიითაც (მაჟორიტარული ან პროპორციული წესით) იყო არჩეული უზენაეს საბჭოში დეპუტატი;

5) უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმს იმ შემთხვევაში, როდესაც უზენაეს საბჭოს წევრს უკავია ისეთი თანამდებობა, რომელიც კანონით შეუთავსებელია უზენაესი საბჭოს წევრის სტატუსთან".

II. ეს კანონი ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი **ზვიად გამსახურდია.**

თბილისი, 1991 წლის 9 ოქტომბერი.

## საქართველოს რესპუბლიკის კანონი

## 733 „საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრის გაწვევის წესის შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

1. „საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრის გაწვევის წესის შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის 1991 წლის 27 თებერვლის კანონში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

კანონის პირველი კარის (ზოგადი დებულებები) მე-7 აბზაცი, მე6 და მე-7 მუხლები ამოღებულ იქნეს.

2. ეს კანონი ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი **ზვიად გამსახურდია.**

თბილისი, 1991 წლის 9 ოქტომბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



საქართველოს რესპუბლიკის კანონი

## 734 „საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოს — საკრებულოს წევრის სტატუსის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონში დამატების შეტანის თაობაზე

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

1 „საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოს — საკრებულოს წევრის სტატუსის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის 1991 წლის 10 აგვისტოს კანონის მე-4 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-8 აბზაცი: „მოქალაქეთა იმ პოლიტიკური გაერთიანების საქმიანობის შეწყვეტისას (სასამართლოს წესით მისი აკრძალვის ან თვითლიკვიდაციის შემთხვევაში), რომლის წევრია საკრებულოს დეპუტატი“.

2. ეს კანონი ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

**საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია.**

თბილისი, 1991 წლის 9 ოქტომბერი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს
დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

## 735 „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის 1991 წლის 10 აგვისტოს მიღებული კანონის მე-4 და მე-7 მუხლების განმარტების თაობაზე

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

1. განმარტებულ იქნეს, რომ „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის 1991 წლის 10 აგვისტოს კანონის შესაბამისად ის პოლიტიკური გაერთიანებები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს 1990 წლის 28 ოქტომბერს ჩატარებულ არჩევნებში, ვალდებულნი არიან მიიღონ ლეგალიზებული ან იურიდიულ პირად რეგისტრირებული პოლიტიკური გაერთიანების სტატუსი.

პოლიტიკური გაერთიანება, რომელიც არ შეასრულებს ამ მოთხოვნებს, ვერ ისარგებლებს ზემოაღნიშნული კანონის მე-9 მუხლით გათვალისწინებული უფლებით — ყავდეს თავისი წარმომადგენლები საარჩევნო კომისიებში.

2. დადგინდეს, რომ იმ პოლიტიკურმა გაერთიანებებმა, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს 1990 წლის 28 ოქტომბრის არჩევნებში, ლეგალიზებული ან იურიდიულ პირად რეგისტრი-

ეროვნული ბიბლიოთეკა



რებული პოლიტიკური გაერთიანების სტატუსი უნდა მიიღონ ამ დადგენილების მიღებიდან ორი თვის ვადაში.

3. ეს დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

**საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე აკაკი ასათიანი.**

თბილისი, 1991 წლის 9 ოქტომბერი.

## საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

## დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

### 736 საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის კომიტეტის შექმნის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

თანხმობა მიეცეს საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის კომიტეტის შექმნაზე.

**საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე აკაკი ასათიანი.**

თბილისი, 1991 წლის 9 ოქტომბერი.

## საქართველოს რესპუბლიკის კანონი

### 737 „საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოში დეპუტატთა არჩევნების საარჩევნო კომისიების ორგანიზაციული საქმიანობის სრულყოფის მიზნით საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

„საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ 1990 წლის 18 აგვისტოს კანონის 30-ე მუხლის მეოთხე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„ამ მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში მოვალეობის შესრულებისაგან კომისიის წევრის გათავისუფლების ან გარდაცვალებისას ცენტრალურ, საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიის ახალ წევრს ნებისმიერ ვადაში ნიშნავს ის ორგანო ან ორგანიზაცია, რომელსაც დანიშნული ჰყავდა კომისიის

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოკლებული წევრი. ამასთან, იმ შემთხვევაში, თუ მოცემულ საარჩევნო ოლქში არჩევნებამდე დარჩენილია არა უმეტეს 56 დღისა, საოლქო საარჩევნო კომისიის ახალი წევრი უნდა დაინიშნოს 3 დღის ვადაში, ხოლო თუ არჩევნებამდე დარჩენილია 30 დღეზე ნაკლები, საუბნო საარჩევნო კომისიის ახალი წევრი — 2 დღის ვადაში".

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი **ზვიად გამსახურდია.**

თბილისი, 1991 წლის 9 ოქტომბერი.

(11 ოქტომბერი)

## საქართველოს რესპუბლიკის კანონი

## 738 საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილებისა და დამატების შეტანის თაობაზე

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს.**

შეტანილ იქნეს საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციაში შემდეგი ცვლილება და დამატება:

1. 104-ე მუხლის 22-ე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„22) თანხმობას აძლევს საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის ჩამოყალიბებაზე, მის შემადგენლობაში ცვლილებების, პრემიერ-მინისტრისა და მინისტრთა კაბინეტის წევრების, კომიტეტებისა და დეპარტამენტების ხელმძღვანელების თანამდებობაზე დანიშვნის, თანამდებობიდან გათავისუფლების ან გადადგომის შესახებ".

2. $121^4$ მუხლის მე-6 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის მეორე ნაწილი:

„საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის წარდგინებითა და საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოსთან შეთანხმებით თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს კომიტეტებისა და დეპარტამენტების ხელმძღვანელებს".

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი **ზვიად გამსახურდია.**

თბილისი, 1991 წლის 11 ოქტომბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



## საქართველოს რესპუბლიკის კანონი

## 739 ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სამართლის ნორმებისათვის კონსტიტუციური კანონის ძალის მინიჭებისა და საქართველოს რესპუბლიკაში მათი პირდაპირი მოქმედების შესახებ

ითვალისწინებს, რომ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის 1991 წლის 9 აპრილის აქტით საერთაშორისო სამართლის პრიმატი საქართველოს რესპუბლიკის კანონების მიმართ და მისი ნორმების პირდაპირი მოქმედება საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე გამოცხადებულია საქართველოს რესპუბლიკის ერთ-ერთ ძირითად კონსტიტუციურ პრინციპად,

მხედველობაში იღებს, რომ ადამიანის ბუნებრივი, ხელშეუვალი და განუყოფელი უფლებებისა და თავისუფლებების აღიარება წარმოადგენს თავისუფლების, სამართლიანობისა და საყოველთაო მშვიდობის საფუძველს, —

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციას დაემატოს შემდეგი შინაარსის $37^1$ მუხლი:

„**მუხლი $37^1$.** ადამიანის უფლებებისა და ძირითად თავისუფლებათა შესახებ საერთაშორისო სამართლის ნორმები საქართველოს რესპუბლიკის სამართლის შემადგენელი ნაწილია, მათ აქვთ უპირატესობა საქართველოს რესპუბლიკის კანონებთან შედარებით და უშუალოდ წარმოშობენ უფლებებსა და მოვალეობებს საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე მცხოვრებთათვის.

საერთაშორისო სამართლის ნორმებით გათვალისწინებული ადამიანის უფლებები და თავისუფლებები უზრუნველყოფილია სასამართლო დაცვით.“

**საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია.**

თბილისი, 1991 წლის 11 ოქტომბერი.

## საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

## დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

## 740 ეკონომიკურ რეფორმასთან დაკავშირებით საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის ინფორმაციის გამო

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

1. ეკონომიკურ რეფორმასთან დაკავშირებით საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის ბ. გუგუშვილის ინფორმაცია მიღებულ იქნეს ცნობად.

2. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს მიიღოს გადამჭრელი ზომები ეკონომიკური რეფორმის დასაჩქარებლად.

**საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე აკაკი ასათიანი.**

თბილისი, 1991 წლის 11 ოქტომბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



## საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

## დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

### 741 სახელმწიფო ქონების პრივატიზების ჩატარების ორგანიზაციულ ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

1. სახელმწიფო ქონების პრივატიზების ჩატარების ორგანიზაციულ ღონისძიებათა შესახებ საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის ბ. გუგუშვილის ინფორმაცია მიღებულ იქნეს ცნობად.

2. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს დროულად და ორგანიზებულად განახორციელოს სახელმწიფო ქონების პრივატიზებასთან დაკავშირებული ღონისძიებები.

**საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე აკაკი ასათიანი.**

თბილისი, 1991 წლის 11 ოქტომბერი.

## საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

## დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

### 742 ზამთრისათვის მზადების თაობაზე საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის ანგარიშის გამო

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

1. ზამთრისათვის მზადების თაობაზე საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის ანგარიში მიღებულ იქნეს ცნობად.

2. მინისტრთა კაბინეტმა განახორციელოს ქმედითი ზომები დასახულ ღონისძიებათა უცილობელი შესრულებისათვის.

3. აფხაზეთის ასს რესპუბლიკის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოებმა, რესპუბლიკის სამინისტროებმა, უწყებებმა, პრეფექტურებმა, საწარმოებმა, ორგანიზაციებმა გადამჭრელი ზომები მიიღონ ზამთრის სეზონის ორგანიზებულად ჩატარებისა და ყველა სახის რესურსზე მკაცრი მომჭირნეობითი რეჟიმის განხორციელებისათვის.

4. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრებმა ფართო ახსნა-განმარტებითი მუშაობა ჩაატარონ მოსახლეობაში ყველა სახის რესურსების მომჭირნეობით ხარჯვის დიდ სახელმწიფოებრივ და პოლიტიკურ მნიშვნელობაზე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



5. საქართველოს რესპუბლიკის ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო დეპარტამენტმა, პრესამ მნიშვნელოვანი ყურადღება დაუთმონ აღნიშნული საკითხის გაშუქებას.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზვიად გამსახურდია.

თბილისი, 1991 წლის 11 ოქტომბერი.

## საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

## დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

743 **მიწისძვრით დაზარალებულ რაიონებში კაპიტალურ დაბანდებათა 1991 წლის საბიუჯეტო ასიგნებების გადიდების შესახებ**

იმასთან დაკავშირებით, რომ მიმდინარე წლის უკანასკნელ პერიოდში სისტემატურად იზრდება მომწოდებლებისაგან მიღებული საშენი მასალებისა და ნედლეულის ღირებულება, ხოლო მიწისძვრით დაზარალებულ რაიონებში დაუშვებელია საბინაო და სხვა ობიექტების აღდგენითი სამუშაოების მოცულობათა შეზღუდვა მხოლოდ საქართველოს რესპუბლიკის 1991 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებების ოდენობით, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

დაკმაყოფილდეს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის თხოვნა მიწისძვრით დაზარალებულ რაიონებში კაპიტალურ დაბანდებათა 1991 წლის საბიუჯეტო ასიგნებების 200 მლნ მანეთით გადიდების შესახებ საქართველოს რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის დეფიციტის შესაბამისი გადიდების ხარჯზე.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზვიად გამსახურდია.

თბილისი, 1991 წლის 11 ოქტომბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

## დადგენილება

744 **საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოში დეპუტატთა არჩევნების № 11 თბილისის ვაჟა ფშაველას საარჩევნო ოლქში კენჭისყრის თარიღის გადატანის შესახებ**

ითვალისწინებს რა საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოში დეპუტატთა არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის წინადადებებს არჩევნების ორგანიზებულად ჩატარების მიზნით უზენაესი საბჭო **ადგენს:**

1. გადატანილ იქნეს კენჭისყრის თარიღი საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოში დეპუტატთა არჩევნების თბილისის ვაჟა-ფშაველას № 11 საარჩევნო ოლქში. კენჭისყრა ჩატარდეს საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოში კომუნისტური პარტიის სიით წარდგენილი და კომუნისტური პარტიის აკრძალვასთან დაკავშირებით უზენაესი საბჭოს გამოკლებული დეპუტატების ნაცვლად დანიშნული არჩევნების კენჭისყრისათვის განკუთვნილ დღეს.

2. თბილისის ვაჟა ფშაველას № 11 საარჩევნო ოლქში საუბნო საარჩევნო კომისიები შეიქმნას „საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის 26-ე მუხლით განსაზღვრულ ვადებში.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე აკაკი ასათიანი.

თბილისი, 1991 წლის 11 ოქტომბერი.

(30 ოქტომბერი)

## საქართველოს რესპუბლიკის კანონი

745 **საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს არჩევნების შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე**

საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოში დეპუტატთა არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის მუშაობის ორგანიზაციის გაუმჯობესების მიზნით საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

1. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს არჩევნების შესახებ საქართველოს რესპუბლიკის 1990 წლის 18 აგვისტოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 ნაწილში სიტყვები „კომისიის თავმჯდომარესა და 4 წევრს ნიშნავს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი“ შეიცვალოს სიტყვებით

ეროვნული
ბიბლიოთეკა



„კომისიის თავმჯდომარეს, კომისიის თავმჯდომარის მოადგილეს საორგანიზაციო საკითხებში და კომისიის 3 წევრს ნიშნავს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი“.

2. კანონი ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი **ზვიად გამსახურდია.**

თბილისი, 1991 წლის 30 ოქტომბერი.

## საქართველოს რესპუბლიკის კანონი

### 746 საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრის გაწვევის წესის შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

1. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრის გაწვევის წესის შესახებ საქართველოს რესპუბლიკის 1991 წლის 27 თებერვლის კანონის 27-ე მუხლის მე-2 წინადადებაში სიტყვები „ორი კვირის ვადაში“ შეიცვალოს სიტყვებით „უახლოეს სხდომაზე“.

2. ეს კანონი ძალაშია მიღებისთანავე.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი **ზვიად გამსახურდია.**

თბილისი, 1991 წლის 30 ოქტომბერი.

## საქართველოს რესპუბლიკის კანონი

### 747 საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

შეტანილ იქნეს საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციაში შემდეგი ცვლილებები:

1. 104-ე მუხლის 30-ე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„30) გამოსცემს აქტებს ამნისტიის შესახებ“.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

2. $121^{4}$ მუხლის მე-20 პუნქტის მეორე წინადადება ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„ახორციელებს შეწყალებას“.

**საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია.**

თბილისი, 1991 წლის 30 ოქტომბერი.

## საქართველოს რესპუბლიკის კანონი

**748** **ამნისტიის შესახებ**

ჰუმანიზმის პრინციპებიდან გამომდინარე და იმის გათვალისწინებით, რომ ზოგიერთი კატეგორიის არასრულწლოვანი მსჯავრდებულის თავისუფლების აღკვეთის ადგილებში ყოფნა მიზანშეუწონელია და რომ რესპუბლიკაში შრომა-აღმზრდელობითი დაწესებულების არარსებობის გამო ამჟამად ირღვევა კანონის მოთხოვნები არასრულწლოვანთა მიერ სასჯელის მოხდის პირობების შესახებ, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

1. გათავისუფლდნენ თავისუფლების აღკვეთის სახით სასჯელისაგან, აგრეთვე ისეთი სასჯელისაგან, რომელიც არ არის დაკავშირებული თავისუფლების აღკვეთასთან, საქართველოს რესპუბლიკის სასამართლოების მიერ მსჯავრდებულნი, ვისაც დანაშაულის ჩადენის დროისათვის არ შესრულებია 18 წელი.

2. შეწყდეს ყველა საგამოძიებო საქმის წარმოება და სასამართლოებში განუხილველი საქმეები დანაშაულთა გამო, რომლებიც 1991 წლის 29 ოქტომბრამდე ჩაიდინეს იმ პირებმა, რომლებსაც დანაშაულის ჩადენის დროისათვის არ შესრულებიათ 18 წელი და ვისზედაც ვრცელდება სასჯელისაგან გათავისუფლება ამ კანონის მიხედვით.

3. სასჯელისაგან არ თავისუფლდებიან არასრულწლოვნები, რომლებსაც თავისუფლების აღკვეთა მისჯილი აქვთ სამ წელზე მეტი ვადით შემდეგი მძიმე დანაშაულისათვის:

ა) სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული განსაკუთრებით საშიში დანაშაულის ჩადენისათვის (საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 65-73 მუხლები);

ბ) სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული შემდეგი სხვა დანაშაულის ჩადენისათვის: ბანდიტიზმი (მუხლი 78-ე), მასობრივი არეულობა (მუხლი მე-80);

გ) პიროვნების სიცოცხლის, ჯანმრთელობის, თავისუფლებისა და ღირსების წინააღმდეგ მიმართული შემდეგი დანაშაულის ჩადენისათვის: განზრახ მკვლელობა, ჩადენილი დამამძიმებელ გარემოებაში (მუხლი 104-ე), განზრახ

ეროვნული
ბიბლიოთეკა



მკვლელობა (მუხლი 105-ე), სხეულის განზრახ მძიმე დაზიანება (მუხლი 110-ე), გაუპატიურება დამამძიმებელ გარემოებაში (117-ე მუხლის მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილები), ყაჩაღობა (96-ე და 152-ე მუხლები), მილიციის მუშაკის ან სახალხო რაზმელის სიცოცხლის ხელყოფა ($209^1$ მუხლი);

დ) საზოგადოებრივი უშიშროებისა და საზოგადოებრივი წესრიგის წინააღმდეგ მიმართული შემდეგი დანაშაულისათვის: ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალის ან ფეთქებად ნივთიერებათა გატაცება (240-ე მუხლი), ნარკოტიკულ ნივთიერებათა უკანონო დამზადება, შეძენა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღება, ნარკოტიკულ ნივთიერებთა გატაცება, ნარკოტიკულ ნივთიერებათა ხმარებაზე დაყოლიება (252-ე მუხლი, $252^1$ მუხლი, $252^3$ მუხლი);

ე) რომლებსაც ადრე მისჯილი ჰქონდათ თავისუფლების აღკვეთა ამ ბრძანებულების მე-3 მუხლის „ა“-„დ“ პუნქტებში ჩამოთვლილი დანაშაულისათვის.

4. გაუნახევრდეთ სასჯელის მოუხდელი ნაწილი იმ მსჯავრდებულებს, რომლებსაც ამ კანონის მე-3 მუხლში ჩამოთვლილი დანაშაულის ჩადენის დროისათვის არ შესრულებიათ 18 წელი.

5. ამ კანონის შესრულება დაევალოთ: საგამოძიებო საქმეებზე — წინასწარი გამოძიების ორგანოებს; სასამართლოებში განუხილველ საქმეებზე, მათ შორის იმ საქმეებზე, რომლებიც განხილულია, მაგრამ განაჩენი კანონიერ ძალაში არ შესულა, აგრეთვე იმ მსჯავრდებულთა მიმართ, რომლებსაც საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 46-ე და $47^1$ მუხლების შესაბამისად სასჯელი შეეცვალათ პირობითი მსჯავრდებით ან განაჩენის აღსრულება გადაედოთ, — სასამართლოებს; მსჯავრდებულთა მიმართ, რომლებიც თავისუფლების აღკვეთის ადგილებში იმყოფებიან, — შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოებს.

6. კანონი ძალაშია 1991 წლის 29 ოქტომბრიდან.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია.

თბილისი, 1991 წლის 30 ოქტომბერი.

## საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

## დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

### 749 „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის 1991 წლის 30 ოქტომბრის კანონის გამოყენების წესის თაობაზე

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

1. ამნისტიის შესახებ კანონის მოქმედება ვრცელდება საქართველოს რესპუბლიკის სასამართლოების მიერ მსჯავრდებულ იმ პირებზე, ვისაც დანაშაუ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლის ჩადენის დროისათვის არ შესრულებიათ 18 წელი და რომლებმაც ჩაიდინეს დანაშაული კანონის ძალაში შესვლამდე, ე. ი. 1991 წლის 29 ოქტომბრამდე.

2. ამნისტიის შესახებ საქართველოს რესპუბლიკის 1991 წლის 29 ოქტომბრის კანონის შესრულება დაეკისროთ:

ა) შინაგან საქმეთა ორგანოებს:

მსჯავრდებულთა მიმართ, რომლებიც თავისუფლების აღკვეთის ადგილებში იმყოფებიან — შრომა-გასწორების დაწესებულების უფროსის დადგენილებით;

ბ) მოკვლევისა და წინასწარი გამოძიების ორგანოებს:

იმ პირთა მიმართ, რომელთა დანაშაულის შესახებ საქმეები და მასალები ამ ორგანოების წარმოებაშია;

გ) სასამართლოებს:

იმ პირთა მიმართ, რომელთა დანაშაულის შესახებ საქმეები და მასალები სასამართლოების წარმოებაშია და კანონის ძალაში შესვლის დროისათვის არ არის განხილული, აგრეთვე იმ პირთა მიმართ, რომელთა დანაშაულის შესახებ საქმეები განხილულია, მაგრამ განაჩენი კანონიერ ძალაში არ შესულა;

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 46-ე მუხლის შესაბამისად პირობით მსჯავრდებულთა მიმართ და იმ პირთა მიმართ, რომლებსაც განაჩენის აღსრულება გადაუვადდათ ამავე კოდექსის $47^{1}$ მუხლით გათვალისწინებული წესით;

მსჯავრდებულთა მიმართ, რომელთაც ძირითად სასჯელად მისჯილი აქვთ ჯარიმა, თუ კანონის ძალაში შესვლამდე ჯარიმა გადახდევინებული არ არის, ამნისტიის გამოყენების საკითხს წყვეტს სასამართლო, რომელმაც განაჩენი გამოიტანა;

სასჯელისაგან ვადამდე პირობით გათავისუფლებულ და იმ პირთა მიმართ, რომელთაც სასჯელის მოუხდელი ნაწილი შეცვლილი აქვთ უფრო მსუბუქი სასჯელით, კანონის ძალაში შესვლამდე ამნისტიის გამოყენების საკითხს წყვეტს სასამართლო, რომელმაც გამოიტანა დადგენილება ვადამდე პირობით გათავისუფლების ან სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სასჯელით შეცვლის შესახებ.

3. მსჯავრდებულთა მიმართ, რომლებიც სასჯელს იხდიან რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ, ამნისტიის შეფარდების საკითხს წყვეტენ განაჩენის დამდგენი საქართველოს რესპუბლიკის სასამართლოები შინაგან საქმეთა ორგანოების წარდგინებით.

4. შინაგან საქმეთა ორგანოების, აგრეთვე მოკვლევისა და წინასწარი გამოძიების ორგანოების დადგენილებას ამნისტიის შეფარდების შესახებ ამტკიცებს პროკურორი.

სასამართლოების მიერ ამნისტიის შესახებ კანონის შეფარდების დროს პროკურორის მონაწილეობა აუცილებელია.

5. ამნისტიის შესახებ კანონის გამოყენების დროს მხედველობაში არ მიიღება ნასამართლობა, რომელიც გაქარწყლებული ან მოხსნილია კანონით დადგენილი წესით.

ეროვნული
ბიბლიოთეკ

ასევე არ მიიღება მხედველობაში იმ პირთა ნასამართლობა, რომლები ადრე მსჯავრდებულნი იყვნენ გაუფრთხილებლობით ჩადენილი დანაშაულის თვის ან მსჯავრდებული იყვნენ განზრახი დანაშაულისათვის და შეეფარდა სასჯელი, რაც არ არის დაკავშირებული თავისუფლების აღკვეთასთან, გარდა ი პირებისა, რომლებსაც ადრე მისჯილი ჰქონდათ თავისუფლების აღკვეთა ა კანონის მე-3 მუხლის „ა“ და „დ“ პუნქტებში ჩამოთვლილი დანაშაულისათვი

6. ამნისტიის გამოყენებისას იმ პირთა მიმართ, რომელთაც სასჯელის მოხ დის პერიოდში სასჯელის ვადა უკვე შეუმცირდათ შეწყალების ან ამნისტიი წესით და არ ჩაუდენიათ ახალი განზრახი დანაშაული, ამნისტიის შეფარდებ სას მხედველობაში მიიღება სასჯელის ის ვადა, რომელიც ამ აქტებით იქ საბოლოოდ განსაზღვრული.

7. დანაშაულის ერთობლიობისას ამნისტიის შეფარდების საკითხი უნ გადაწყდეს თითოეული დანაშაულის მიმართ ცალცალკე.

8. წინადადება მიეცეს აფხაზეთის ასსრ და აჭარის ავტონომიური რე სპუბლიკის უზენაესი საბჭოების პრეზიდიუმებს უზრუნველყონ კონტროლ ამნისტიის შესახებ კანონის შესრულებაზე.

9. დაევალოს აფხაზეთის ასსრ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკ მინისტრთა საბჭოებს, რესპუბლიკის პრეფექტურებს;

უზრუნველყონ ამნისტიის შესახებ კანონის საფუძველზე სასჯელისაგ გათავისუფლებულ არასრულწლოვანთა დროულად აღრიცხვაზე აყვანა, მა შრომითი მოწყობა, საჭიროების შემთხვევაში ბავშვთა სახლებში, სასწავლ დაწესებულებებში მათი მოთავსება.

10. ამნისტიის შესახებ საქართველოს რესპუბლიკის 1991 წლის 29 ო ტომბრის კანონის შესრულებისათვის მუშაობა დასრულდეს ორთვიან ვადა მისი ძალაში შესვლიდან.

11. ამნისტიის გამოყენების თაობაზე საჩივრები და პროტესტები განიხ ლება კანონით დადგენილი წესით.

12. ზედამხედველობას ამ დადგენილების შესრულებაზე ახორციელებ რესპუბლიკის პროკურატურის ორგანოები.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ნემო ბურჭულა

თბილისი, 1991 წლის 30 ოქტომბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს რესპუბლიკის კანონი

## 750 „საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

შეტანილ იქნეს „საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის 1991 წლის 27 აგვისტოს კანონში შემდეგი ცვლილებები:

1. მე-9 მუხლის მე-2 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს უფლება აქვს კაბინეტის ცალკეულ წევრს, კომიტეტის ან დეპარტამენტის ხელმძღვანელს მოსთხოვოს ანგარიში. კაბინეტის წევრის საქმიანობის არადამაკმაყოფილებლად შეფასებისას შეიძლება დაისვას დაკავებულ თანამდებობაზე მისი დატოვების მიზანშეწონილობის საკითხი".

2. 21-ე მუხლის მესამე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„კომიტეტებისა და დეპარტამენტების ხელმძღვანელებს მინისტრთა კაბინეტის წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოსთან შეთანხმებით".

**საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია.**

თბილისი, 1991 წლის 30 ოქტომბერი.

## საქართველოს რესპუბლიკის კანონი

## 751 საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

შეტანილ იქნეს საქართველოს სსრ 1960 წლის 30 დეკემბრის კანონით დამტკიცებულ საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები 1961 წ., № 1, მუხ. 11; 1984 წ., № 4, მუხ. 100; 1990 წ., № 2 მუხ. 34) შემდეგი ცვლილებები:

1. 89-ე და 134-ე მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 89. პატიმრობის ვადა"

პატიმრობის, როგორც აღკვეთის ღონისძიების ვადა, სისხლის სამართლის საქმეზე დანაშაულის გამოძიების დროს განისაზღვრება ორი თვით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს ვადა გამოძიების დამთავრების შეუძლებლობის შემთხვევაში საქმის სირთულის გამო და სხვა განსაკუთრებულ გარემოებათა გათვალისწინებით შეიძლება გააგრძელონ:

რაიონის, ქალაქის, ტრანსპორტის, თავისუფლების აღკვეთის ადგილებზე ზედამხედველი, ბუნების დაცვის და მათთან გათანაბრებულმა პროკურორებმა — სამ თვემდე;

ავტონომიური რესპუბლიკების, რესპუბლიკის ტრანსპორტისა და ქ. თბილისის პროკურორებმა და მათმა მოადგილეებმა — ექვს თვემდე;

საქართველოს რესპუბლიკის გენერალური პროკურორის პირველმა მოადგილემ და მოადგილეებმა — ცხრა თვემდე;

განსაკუთრებულ შემთხვევებში, გამონაკლისის სახით, რესპუბლიკის გენერალურმა პროკურორმა — ერთ წელსა და ექვს თვემდე.

ვადის შემდგომი გაგრძელება არ დაიშვება და პატიმრობაში მყოფი ბრალდებული დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს.

პატიმრობის, როგორც აღკვეთის ღონისძიების ვადის გამოანგარიშებისას ბრალდებულისა და მისი დამცველის მიერ სისხლის სამართლის საქმის მასალების გაცნობის ვადა არ გაითვალისწინება.

სასამართლოს მიერ საქმის დამატებითი გამოძიებისათვის დაბრუნებისას, როდესაც ბრალდებულის პატიმრობაში ყოფნის ვადა ამოიწურა, ხოლო საქმის გარემოებათა გამო პატიმრობა, როგორც აღკვეთის ღონისძიება არ შეიძლება შეიცვალოს, პატიმრობის ვადას აგრძელებს გამოძიებაზე ზედამხედველი პროკურორი მის მიერ საქმის მიღების მომენტიდან ერთი თვის ფარგლებში. ეს ვადა შემდგომ გაგრძელდება სასამართლოში საქმის გაგზავნამდე ბრალდებულის პატიმრობაში ყოფნის დროის გათვალისწინებით, ამ მუხლის პირველი, მეორე და მეოთხე ნაწილებით დადგენილი წესითა და ფარგლებში".

„მუხლი 134. წინასწარი გამოძიების ვადები".

სისხლის სამართლის საქმეთა წინასწარი გამოძიების ვადა განისაზღვრება ორი თვით, რაც მოიცავს დროს საქმის აღძვრის მომენტიდან სასამართლოში მისი წარმართვის, წარმოების შეწყვეტის ან შეჩერების მომენტამდე.

ამ მუხლით დადგენილი წინასწარი გამოძიების ვადა შეიძლება გააგრძელონ:

რაიონის, ქალაქის, ტრანსპორტის, თავისუფლების აღკვეთის ადგილებზე ზედამხედველ, ბუნების დაცვის და მათთან გათანაბრებულმა პროკურორმა — სამ თვემდე;

ავტონომიური რესპუბლიკების, რესპუბლიკის ტრანსპორტის, ქ. თბილისის პროკურორებმა და მათმა მოადგილეებმა — ექვს თვემდე;

საქართველოს რესპუბლიკის გენერალურმა პროკურორმა, მისმა პირველმა მოადგილემ და მოადგილეებმა — ექვს თვეზე მეტი ვადით;

საქმეებზე, რომლებზეც გამოძიებას აწარმოებენ იმ რეგიონების საგამოძიებლო ორგანოების გამომძიებლები, რომლებიც არ შედიან ავტონომიური რესპუბლიკების, რესპუბლიკის ტრანსპორტის ან ქ. თბილისის პროკურატურის შემადგენლობაში, გამოძიების ვადას სამ თვეზე ზევით აგრძელებენ საქართვე-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლოს რესპუბლიკის გენერალური პროკურორი, მისი პირველი მოადგილე ან მოადგილეები.

თუ საქმეზე ბრალდებული იმყოფება პატიმრობაში, გამოძიების ვადა გაგრძელდება ამ კოდექსის 89-ე მუხლის შესაბამისად.

გამოძიების ვადის გამოანგარიშებისას, ბრალდებულისა და მისი დამცველის მიერ სისხლის სამართლის საქმის მასალების გაცნობის ვადა არ გაითვალისწინება.

სასამართლოს მიერ საქმის დამატებითი გამოძიებისათვის დაბრუნებისას, აგრეთვე წარმოებით შეჩერებულ ან შეწყვეტილ საქმეზე გამოძიების განახლების შემთხვევაში დამატებითი გამოძიების ვადას ერთი თვის ფარგლებში აგრძელებს გამოძიებაზე ზედამხედველი პროკურორი. გამოძიების ვადა შემდგომ გაგრძელდება საერთო საფუძველზე.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი **ზვიად გამსახურდია.**

თბილისი, 1991 წლის 30 ოქტომბერი.

## საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

## დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

## 752 ეკონომიკური თანამშრომლობის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

მიღებულ იქნეს ცნობად საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის ბ. გუგუშვილის ინფორმაცია ეკონომიკურ თანამშრომლობასთან დაკავშირებით.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ნემო ბურჭულაძე.**

თბილისი, 1991 წლის 30 ოქტომბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

(31 ოქტომბერი)

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

**753** **თბილისის მეტროპოლიტენისათვის ვაგონების შესაძენად საბიუჯეტო ასიგნებათა გამოყოფის შესახებ**

იმასთან დაკავშირებით, რომ თბილისის მეტროპოლიტენის სავაგონო პარკის მნიშვნელოვანი ნაწილი ფიზიკურად და მორალურად ამორტიზებულია, ვერ უპასუხებს ტექნიკურ-საექსპლუატაციო და უსაფრთხოების მოთხოვნებს, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

დაკმაყოფილდეს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის თხოვნა თბილისის მეტროპოლიტენისათვის ვაგონების შესაძენად საქართველოს რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან 11.740 ათასი მანეთის გამოყოფის შესახებ.

**საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ნემო ბურჭულაძე.**

თბილისი, 1991 წლის 31 ოქტომბერი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

**754** **საქართველოს სამოქალაქო ავიაციისათვის სამგზავრო თვითმფრინავების შესაძენად საბიუჯეტო ასიგნებათა გამოყოფის შესახებ**

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

დაკმაყოფილდეს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის თხოვნა საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სამმართველოსათვის სამგზავრო თვითმფრინავების შესაძენად საქართველოს რესპუბლიკის ბიუჯეტიდან 259 600 ათასი მანეთის გამოყოფის შესახებ.

**საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ნემო ბურჭულაძე.**

თბილისი, 1991 წლის 31 ოქტომბერი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



## საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

## დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

### 755 ჯ. მ. ფირცხალაიშვილის საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრად დანიშვნის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

თანხმობა მიეცეს საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს ჯონი მიხეილის ძე **ფირცხალაიშვილის** საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრად დანიშვნაზე.

**საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ნემო ბურჭულაძე.**

**თბილისი, 1991 წლის 31 ოქტომბერი.**

## საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

## დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

### 756 ა. მ. ჭლიკაძის საქართველოს რესპუბლიკის სოფლის, ტყის მეურნეობისა და კვების მრეწველობის მინისტრის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

თანხმობა მიეცეს საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს ანზორ მიხეილის ძე ჭლიკაძის საქართველოს რესპუბლიკის სოფლის, ტყის მეურნეობისა და კვების მრეწველობის მინისტრის თანამდებობიდან გათავისუფლებაზე.

**საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ნემო ბურჭულაძე.**

**თბილისი, 1991 წლის 31 ოქტომბერი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა



## საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

## დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

### 757 ნ. ა. ჭითანავას საქართველოს რესპუბლიკის სოფლის, ტყის მეურნეობისა და კვების მრეწველობის მინისტრად დანიშვნის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

თანხმობა მიეცეს საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს ნოდარ ამროსის ძე **ჭითანავას** საქართველოს რესპუბლიკის სოფლის, ტყის მეურნეობისა და კვების მრეწველობის მინისტრად დანიშვნაზე.

**საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ნემო ბურჭულაძე.**

თბილისი, 1991 წლის 31 ოქტომბერი.

## საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

## დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

### 758 საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკისა და ფინანსთა სამინისტროსათვის საბიუჯეტო ასიგნებათა გამოყოფის შესახებ

იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს საწარმოო-სავაჭრო გაერთიანება „საქმედტექნიკა“ თავისი ცენტრალური ბაზიდან 10.818 ათასი მანეთი ღირებულების 900 სინჯის 38 კილოგრამ ძვირფას ლითონს გადასცემს საქართველოს ეროვნულ ფასეულობათა სახელმწიფო ფონდს, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

დაკმაყოფილდეს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის თხოვნა რესპუბლიკური ბიუჯეტიდან საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკისა და ფინანსთა სამინისტროსათვის 10.818 ათასი მანეთის გამოყოფის შესახებ აღნიშნული ძვირფასი ლითონის ღირებულების დავალიანების დასაფარავად.

**საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ნემო ბურჭულაძე.**

თბილისი, 1991 წლის 31 ოქტომბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



## საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

## დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

### 759 გ. დ. თოფურიას საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის პრეზიდენტად დანიშვნის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

თანხმობა მიეცეს საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს გია დანიელის ძე **თოფურიას** საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის პრეზიდენტად დანიშვნაზე.

**საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ნემო ბურჭულაძე.**

თბილისი, 1991 წლის 31 ოქტომბერი.

(1 ნოემბერი)

## საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

## დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

### 760 „ბინების პრივატიზების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის პირველი მოსმენით მიღების თაობაზე

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

„ბინების პრივატიზების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონი მიღებულ იქნეს პირველი მოსმენით.

**საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ნემო ბურჭულაძე.**

თბილისი, 1991 წლის 1 ნოემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



## საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

## დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

**761** **სასოფლო-სამეურნეო, კვებისა და გადამამუშავებელი მრეწველობის საწარმოთათვის ბანკის ვადაგადაცილებული დავალიანების ჩამოწერასთან დაკავშირებით არსებული მდგომარეობის შესასწავლად შექმნილი საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოსა და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის ერთობლივი კომისიის დასკვნის შესახებ**

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

1. დამტკიცდეს სასოფლო-სამეურნეო, კვებისა და გადამმუშავებელი მრეწველობის საწარმოთათვის ბანკის ვადაგადაცილებული დავალიანების ჩამოწერასთან დაკავშირებით არსებული მდგომარეობის შესასწავლად საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოსა და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის ერთობლივი კომისიის დასკვნა.

2. აღინიშნოს, რომ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ დაარღვია საქართველოს რესპუბლიკის 1991 წლის 27 აპრილის კანონი „საქართველოს რესპუბლიკის სოფლისა და სატყეო მეურნეობის სამინისტროსა და საქართველოს რესპუბლიკის კვებისა და გადამმუშავებელი მრეწველობის სამინისტროს სისტემის საწარმოთა და ორგანიზაციათა ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესების ზოგიერთი ღონისძიების შესახებ“ და დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს განიხილოს კომისიის დასკვნა და განახორციელოს სათანადო ღონისძიებანი მომავალში მსგავსი დარღვევების აღსაკვეთად.

3. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის აგრომრეწვბანკის ხელმძღვანელობას:

— განიხილოს კომისიის მიერ მოკვლეული მასალები და მიიღოს სათანადო ზომები დარღვევებში მხილებული პასუხისმგებელი პირების მიმართ;

— 1991 წლის ბოლომდე შეამოწმოს მისდამი დაქვემდებარებულ საბანკო დაწესებულებებში სასოფლო-სამეურნეო, კვებისა და გადამმუშავებელი მრეწველობის საწარმოთათვის ბანკის ვადაგადაცილებული დავალიანების ჩამოწერასთან დაკავშირებით შექმნილი მდგომარეობა და გაატაროს სათანადო ღონისძიებები;

— შემოწმების მიმდინარეობისა და შედეგების შესახებ ყოველთვიურად მოახსენოს საქართველოს რესპუბლიკის ეროვნულ ბანკს.

4. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ:

ა) საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს 1991 წლის 10 აგვისტოს დადგენილებით საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას უკვე მიეცა დავალება სესხების ჩამოწერის თაობაზე;

ეროვნული ბიბლიოთეკა



ბ) კომისიის მიერ მოკვლეული მასალები უხეშ დარღვევა-დამახინჯებათა შესახებ გადაეცა საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურას.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ნემო ბურჭულაძე.**

თბილისი, 1991 წლის 1 ნოემბერი.

## საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

## დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

### 762 საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს იურიდიული მუდმივი კომისიის თავმჯდომარედ კ. ა. ფირცხალავას არჩევის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

არჩეულ იქნეს კონსტანტინე ალექსის ძე **ფირცხალავა** საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს იურიდიული მუდმივი კომისიის თავმჯდომარედ.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ნემო ბურჭულაძე.**

თბილისი, 1991 წლის 1 ნოემბერი.

## საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

## დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

### 763 საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს იურიდიული მუდმივი კომისიის არჩევის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

არჩეულ იქნეს საქართველოს რესპუბლიკის იურიდიული მუდმივი კომისია შემდეგი შემადგენლობით:

გიორგი გელას ძე **გულბანი**

ვიქტორ პეტრეს ძე **დომუხოვსკი**

თენგიზ ნიკოლოზის ძე **ჩაჩავა**

ვალტერ გრიგოლის ძე **შურღაია**

ალექსანდრე ალექსანდრეს ძე **ვარძელაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა



ჯემალ აკაკის ძე **გოლეთიანი**
ზურაბ ტიტეს ძე **სანიკიძე**
თამაზ ახმედის ძე **დიასამიძე.**

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ნემო ბურჭულაძე.**

თბილისი, 1991 წლის 1 ნოემბერი.

## საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

## დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

**764** **საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ადამიანის უფლებათა დაცვის მუდმივი კომისიის თავმჯდომარის ა. პ. იმნაძის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ**

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**
გათავისუფლებულ იქნეს ავთანდილ პროკოფის ძე **იმნაძე** საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ადამიანის უფლებათა დაცვის მუდმივი კომისიის თავმჯდომარის თანამდებობიდან.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ნემო ბურჭულაძე.**

თბილისი, 1991 წლის 1 ნოემბერი.

## საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

## დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

**765** **საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ადამიანის უფლებათა დაცვის მუდმივი კომისიის თავმჯდომარედ ზ. დ. ქობალიას არჩევის შესახებ**

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**
არჩეულ იქნეს ზაურ დავითის ძე **ქობალია** საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ადამიანის უფლებათა დაცვის მუდმივი კომისიის თავმჯდომარედ.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ნემო ბურჭულაძე.**

თბილისი, 1991 წლის 1 ნოემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

## დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

### 766 საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს საგარეო ურთიერთობათა მუდმივი კომისიის თავმჯდომარის თ. შ. პაატაშვილის თანამდებობიდან გადადგომის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

დაკმაყოფილდეს თედო შალვას ძე **პაატაშვილის** თხოვნა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს საგარეო ურთიერთობათა მუდმივი კომისიის თავმჯდომარის თანამდებობიდან გადადგომის შესახებ.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ნემო ბურჭულაძე.**

თბილისი, 1991 წლის 1 ნოემბერი.

## საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

## დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

### 767 საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს საგარეო ურთიერთობათა მუდმივი კომისიის თავმჯდომარედ მ. მ. თუშმალიშვილის არჩევის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

არჩეულ იქნეს მედეა მირიანის ასული **თუშმალიშვილი** საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს საგარეო ურთიერთობათა მუდმივი კომისიის თავმჯდომარედ.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ნემო ბურჭულაძე.**

თბილისი, 1991 წლის 1 ნოემბერი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



## საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

## დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

### 768 „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის მოქმედების დროებით შეჩერების თაობაზე

საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურის შუამდგომლობის საფუძველზე საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

დროებით შეჩერებულ იქნეს „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის 1991 წლის 10 აგვისტოს კანონის მოქმედება.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ნემო ბურჭულაძე.**

თბილისი, 1991 წლის 1 ნოემბერი.

## საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

## დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

### 769 საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის საქმიანობის უზრუნველყოფის, მომსახურებისა და დაცვის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის უფლებამოსილებათა ეფექტიანი განხორციელების მიზნით საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

1. განისაზღვროს საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის შემდეგი სახელმწიფო უზრუნველყოფა და მომსახურება:

ხელფასი თვეში 4 ათასი მანეთის ოდენობით;

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის პოსტზე ყოფნის პერიოდში — სასამსახურო ბინა თბილისში და ორი აგარაკი;

სპეციალურად აღჭურვილი თვითმფრინავი და ვერტმფრენი;

სპეციალური დანიშნულების ჯავშნიანი საავტომობილო ტრანსპორტი;

დაცვა, რაც ეკისრება პრეზიდენტის დაცვის სამსახურს.

ქვეყნის შიგნით და საზღვარგარეთ ყოფნის დროს წარმომადგენლობითი მიზნებისათვის გაწეული ხარჯები ანაზღაურდება საზოგადოდ მიღებული საერთაშორისო ნორმების ფარგლებში საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის მეუღლისა და ოჯახის დაცვასა და სატრანსპორტო მომსახურებას უზრუნველყოფს პრეზიდენტის დაცვის სამსახური.

3. საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს გადადგომის შემდეგ სამუდამოდ:

უწესდება პენსია თვეში 2 ათას 400 მანეთის ოდენობით;

ეძლევა სახელმწიფო აგარაკი საჭირო მომსახურებით, დაცვით, სატრანსპორტო უზრუნველყოფით.

4. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა 1991 წლიდან საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტში გაითვალისწინოს სპეციალური მუხლი, რომელიც ეხება საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის საქმიანობის დაფინანსებას.

**საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ნემო ბურჭულაძე.**

**თბილისი, 1991 წლის 1 ნოემბერი.**

## განყოფილება მესამე

## 770 მიმართვა საქართველოს მოსახლეობას

ამა წლის 5 ოქტომბერს მუშაობა დაიწყო საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს მეორე სესიის საგანგებო სხდომამ. მასში მონაწილეობს უზენაეს საბჭოში არსებული ყველა ფრაქცია.

მიუხედავად დაძაბული ვითარებისა, გამოიკვეთა კეთილი ნება, რომელიც შეიძლება გახდეს ურთიერთშეთანხმებისა და მდგომარეობის პოლიტიკური საშუალებებით განმუხტვის საფუძველი.

უზენაესი საბჭო მოუწოდებს საქართველოს ყველა მოქალაქეს, გამოიჩინონ პასუხისმგებლობის გრძნობა და თავი შეიკავონ ყოველგვარი ძალისმიერი მოქმედებისაგან. იგი მიმართავს საქართველოს მთელ მოსახლეობას განსაკუთრებული ერთიანობისა და მშვიდობის ინტერესებით. ეროვნული თანხმობის მიღწევა დღეს მხოლოდ ერთობლივი ძალისხმევით არის შესაძლებელი

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ყველა ფრაქცია, ყოველი დეპუტატი გამოთქვამს სრულ მზადყოფნას ყველაფერი იღონოს საქართველოში შექმნილი უმძიმესი პოლიტიკური მდგომარეობის მოწესრიგებისა და ეროვნული შერიგებისათვის, სამშობლოში მშვიდობიანობის დასამკვიდრებლად.

უზენაესი საბჭოს სხდომაზე იმსჯელეს საქართველოში შექმნილ რთულ ვითარებაზე, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მუშაობაზე, პატიმართა თაობაზე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს საგანგებო სხდომა მუშაობას განაგრძობს.

მიმართვა მიღებულია ერთხმად.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო.

თბილისი, 1991 წლის 5 ოქტომბერი.

## 771 მანიფესტაციის ორგანიზატორებსა და მონაწილეებს

ი. სარიშვილის წერილის პასუხად მოგმართავთ, რომ შექმნილ დაძაბულ ვითარებაში თავი შეიკავოთ პარლამენტთან მანიფესტაციის მოწყობისაგან. მით უფრო, რომ გვაქვს სამწუხარო მაგალითი, თუ რა მოჰყვა ადამიანთა მრავალრიცხოვანი ჯგუფების პირისპირ დგომას.

შეგახსენებთ, რომ სწორედ აღნიშნულ დაპირისპირებაზე უარის თქმამ უკანასკნელ დღეებში დადებითი შედეგები გამოიღო და ქალაქში სიმშვიდემ დაისადგურა.

გთხოვთ გაითვალისწინოთ ზემოაღნიშნული და ნუ შექმნით დაპირისპირების ახალ პრეცენდენტს, რათა ყოველივე ამას არ მოჰყვეს გაუთვალისწინებელი შედეგები.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო.

თბილისი, 1991 წლის 8 ოქტომბერი.

## 772 რეზოლუცია

ქ. თბილისსა და რესპუბლიკის სხვა რეგიონებში შექმნილი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარების განხილვის შედეგად საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო აღნიშნავს:

ვინაიდან საქართველოში ადგილი აქვს კანონიერი ხელისუფლების ძალადობით დამხობის მცდელობას, რომელიც გამოიხატა სიტყვიერი მოწოდებებით, საზოგადოების წაქეზებით, სახელმწიფო დაწესებულებებზე შეიარაღებული თავდასხმებით, რასაც მოჰყვა ადამიანთა მსხვერპლი და მატერიალური ზარალი;

ვინაიდან 1991 წლის 4-5 ოქტომბერს განხორციელდა რამდენიმე შეიარაღებუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ლი თავდასხმა პარლამენტის შენობაზე, რაც წარმოადგენდა ზემოაღნიშნული მიზნის პრაქტიკული განხორციელებისათვის გადადგმულ ნაბიჯს, — ამ ფაქტებსა და მოვლენებს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო აფასებს, როგორც სახელმწიფო გადატრიალების მცდელობას. ამასთანავე, მძიმე საზოგადოებრივ-პოლიტიკური მდგომარეობის მოწესრიგების, სამოქალაქო მშვიდობისა და მართლწესრიგის აღდგენის მიზნით, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო მხარს უჭერს პრეზიდენტის 1991 წლის 30 სექტემბრის ბრძანებულებით დადასტურებულ გარანტიებს და კეთილი ნების საფუძველზე მიიჩნევს, რომ კანონიერი ხელისუფლების საწინააღმდეგო აქციების ორგანიზატორთა და მონაწილეთა მიმართ, თუ ისინი ხელს აიღებენ კანონსაწინააღმდეგო მოქმედებაზე და გააკეთებენ პოლიტიკური ლოიალობის გამომხატველ განცხადებას, არ იქნება გამოყენებული სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ზომები.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო კატეგორიულად გმობს არსებული კანონიერი ხელისუფლების ძალადობით დამხობის თუ შეცვლის ყოველგვარ გამოვლენას და პოლიტიკურ მიზანდასახულობათა პრაქტიკული რეალიზაციის ერთადერთ დემოკრატიულ საშუალებად მიიჩნევს მხოლოდ კონსტიტუციითა და მოქმედი კანონმდებლობით გარანტირებული უფლებების გამოყენებას.

უზენაეს საბჭოს მიაჩნია, რომ უნდა შეიქმნას საპარლამენტო კომისია, რომელიც გამოიკვლევს აღნიშნულ მოვლენებს და მშვიდობიანად მოაგვარებს წარმოქმნილ კონფლიქტს.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო.

თბილისი, 1991 წლის 8 ოქტომბერი.

## 773 დეკლარაცია

ერთი წლის წინათ საქართველოს მოსახლეობამ დემოკრატიული წესით აირჩია ქვეყნის საკანონმდებლო ორგანო — უზენაესი საბჭო. თავისი ფუნქციონირების ხანმოკლე პერიოდში რესპუბლიკის პარლამენტს განუწყვეტელი წინააღმდეგობებისა და კრიზისული მოვლენების პირობებში უხდებოდა მუშაობა. ცენტრის მიერ მოწყობილი ბლოკადა და სტიქიური უბედურებები, ძველი სოციალურ-ეკონომიკური სტრუქტურების რღვევა, ამასთან დაკავშირებული მრავალრიცხოვანი პრობლემები და ცალკეული ხარვეზები სისტემატურად აფერხებდნენ ცხოვრების ნორმალურ მაჯისცემას. ყოველივე ამან სადღეისოდ მეტად მძიმე ხასიათი მიიღო. ჯეროვნად აფასებს რა საქართველოში ამჟამად შექმნილ რთულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მდგომარეობას, გრძნობს რა თავის

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მაღალ პასუხისმგებლობას ერისა და ისტორიის წინაშე, ქვეყნის მოსახლეობის ნდობით აღჭურვილი და მისი ნების გამომხატველი საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო აცხადებს, რომ:

1. სრულად განახორციელებს თავის უფლებამოსილებას ყოველმხრივ დაიცვას ადამიანის უფლებები და თავისუფლებანი. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება პრესისა და სიტყვის თავისუფლების დამკვიდრება;

2. უზრუნველყოფს თავისუფალი მეწარმეობის განვითარებასა და კერძო საკუთრების დამკვიდრებას;

3. დააჩქარებს აგრარული რეფორმის გატარებასა და მატერიალური ფასეულობების პრივატიზების პროცესს, რაც თავის მხრივ ცხოვრების თავისუფალი წესის დამკვიდრების საფუძველი გახდება, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო დღენიადაგ იზრუნებს სამოქალაქო მშვიდობის დამყარების, შექმნილი დაძაბულობის განმუხტვისათვის და ამ მცდელობაში უპირატესობას პოლიტიკური დიალოგის ფორმას მიანიჭებს. ამიტომ, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო მუდამ მზად იქნება ფართოდ გაუხსნას კარი ოპოზიციურ აზრს და ესა თუ ის გადაწყვეტილება მასთან შეჯერების საფუძველზე მიიღოს;

4. მხარს უჭერს რა რესპუბლიკის პრეზიდენტს, მასთან ერთად განუხრელად დაიცავს საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციას, მოქმედ კანონმდებლობასა და მათ უზენაესობას.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო, აღიარებს რა თავის რიგებში ფრაქციულ პრინციპებზე გაერთიანებული ჯგუფების უფლებებს, აცხადებს, რომ გაგებით მოეკიდება უმცირესობის თვალსაზრისს და არ დაუშვებს დემოკრატიის პრინციპთა ხელყოფას.

უზენაესი საბჭო მიიჩნევს, რომ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის პროცესი ქვეყნის ცხოვრების გლობალურ დემოკრატიზაციას უნდა დაეფუძნოს.

ამ მიზნის მისაღწევად საჭიროა ეროვნული თანხმობის დამკვიდრება და სამოქალაქო მშვიდობის აღდგენა, რისკენაც პარლამენტი რესპუბლიკის მთელ მოსახლეობას დაბეჯითებით მოუწოდებს.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო.

თბილისი, 1991 წლის 8 ოქტომბერი.

## 774 უზბეკეთის რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს

პატივცემულო დეპუტატებო!

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო, მთელი ქართველი ხალხი მიესალმება უზბეკი ხალხის ბრძოლას თავისუფლებისა და დემოკრატიისათვის, რომელიც 1991 წლის 1 სექტემბერს უზბეკეთის რესუბლიკის სახელმწიფო დამოუკიდებლობის გამოცხადებით დაგვირგვინდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ცნობს უზბეკეთის რესპუბლიკას დამოუკიდებელ სუვერენულ სახელმწიფოდ, საერთაშორისო სამართლის სრულუფლებიან სუბიექტად და გამოხატავს მზადყოფნას უზბეკეთის ხელისუფლებასთან ნებისმიერ დროს დაიწყოს მოლაპარაკება ორ სახელმწიფოს შორის დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების თაობაზე.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი
საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო.

თბილისი, 1991 წლის 9 ოქტომბერი.

## 775 საბჭოთა კავშირის პრეზიდენტს ბატონ მიხეილ გორბაჩოვს რუსეთის საბჭოთა სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტს ბატონ ბორის ელცინს სსრ კავშირის სახელმწიფო საბჭოს რსფსრ უზენაეს საბჭოს

თქვენი ყურადღება გვსურს მივაპყროთ ამ ბოლო დროს გახშირებულ იმ დესტრუქციულ, ბევრ შემთხვევაში ძალადურ გამოხდომებზე, რომლებიც ნეგატიურ გავლენას ახდენენ საქართველოში მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროცესებზე და ფაქტობრივად მიზნად ისახავენ საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარებისათვის ხელის შეშლას, რესპუბლიკის ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფას.

ჩვენ მხედველობაში გვაქვს ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე სეპარატისტული და ექსტრემისტული ძალების უჩეულო გააქტიურება, მშვიდობიანი ქართველი მოსახლეობის აწიოკება, რასაც შეიარაღებული ბანდები სჩადიან სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარის ნაწილების წაყრუებით ან მათი აშკარა მხარდაჭერითა და მონაწილეობით.

ამას წინათ ეგრეთ წოდებული სამხრეთ ოსეთის თვითმარქვია საოლქო აღმასრულებელმა კომიტეტმა ჩრდილოეთ ოსეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წინაშე დააყენა არა მარტო ისტორიულ, არამედ ყოველგვარ კონსტიტუციურ და იურიდიულ საფუძველს მოკლებული წინადადება — რსფსრ-ს შემადგენლობაში სამხრეთ და ჩრდილოეთ ოსეთის ერთ რესპუბლიკად გაერთიანების შესახებ.

ამ აბსურდულ, მაგრამ შორს გამიზნულ წინადადებას, ვიმედოვნებთ, სათანადო შეფასება მიეცემა თქვენი მხრიდან, რათა მომავალში აღარ განმეორდეს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევის მცდელობა, სუვერენული საქართველოს რესპუბლიკის შინაურ საქმეებში ჩარევა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევს ის გარემოება, რომ სეპარატისტული ძალების დემარშებს თან ახლავს ტერორი და ძალადობა, რომელსაც რეგიონის ქართველი მოსახლეობის მიმართ ახორციელებენ ოსი ექსტრემისტები და სსრ კავშირის შინაგანი ჯარები.

10 სექტემბერს ახალგორის რაიონში შეიჭრა რაკეტებით აღჭურვილი 4 სამხედრო ვერტმფრენი. ისინი რამდენიმე საათის განმავლობაში დაფრინავდნენ დაბა ახალგორიდან სოფელ ლარგვისამდე და — პირიქით.

7 ოქტომბერს, ღამის 10 საათზე შინაგანი ჯარის ორი ჯავშანტრანსპორტიორი, რომელშიც ნიღაბაფარებული მოძალადეები ისხდნენ, თავს დაესხნენ სოფელ თამარაშენს და დაჭრეს სოფლის ორი მკვიდრი.

8 ოქტომბერს, ღამით შინაგანი ჯარის ორი ჯავშანტრანსპორტიორი ჩასაფრდა გორის რაიონის სოფელ ერგნეთთან და ტყვიებით დაცხრილა გამვლელი მსუბუქი ავტომანქანა, რომელშიც იჯდა ოთხი ადგილობრივი მცხოვრები. სამი მათგანი დაჭრილია. მათ შორის ერთი — მძიმედ.

10 ოქტომბერს ქარელის რაიონის (ყოფილი ყორნისის რაიონი) სოფელ ქალეთსა და ატოცში, დაახლოებით დღის 12 საათზე ოსმა ექსტრემისტებმა სროლა აუტეხეს აღნიშნული სოფლების მოსახლეობას. თავდასხმაში მონაწილეობდა 9 ჯავშანტრანსპორტიორი და 1 ვერტმფრენი. სროლამ საღამოს 8 საათამდე გასტანა. დაიჭრა 5 ადამიანი, რომლებიც საავადმყოფოში არიან მოთავსებულნი.

ამას წინათ შეიარაღებულმა ბანდიტებმა მოკლეს ოთხი ქართველი მწყემსი, პირუტყვი კი გაიტაცეს. ქალაქ ცხინვალში შინაგანი ჯარის მოსამსახურეთა თვალწინ ბანდიტებმა სასტიკად სცემეს და მძევლად აიყვანეს 9 მძღოლი, რომლებსაც საშენი მასალები მიჰქონდათ მიწისძვრით დაზარალებული მოსახლეობისათვის.

ამ დღეებში შეიარაღებულმა ბანდიტებმა სოფელ ერგნეთში მოკლეს მანდილოსანი, სოფელ სვერში ხელ-ფეხი დაუმტვრიეს და შემდეგ ბლაგვი საგნის თავში ჩარტყმით მოკლეს 70 წლის მოხუცი. 4 ოქტომბერს სოფელ არცევში მოკლეს ორი ქართველი და დაჭრეს ოთხი. უკანასკნელი ორი კვირის მანძილზე ათამდე კაცია მოკლული.

განსაკუთრებით შემაშფოთებელია ის ფაქტი, რომ მშვიდობიან ქართველ მოსახლეობაზე ყაჩაღურ თავდასხმებს ახორციელებენ თვით შინაგანი ჯარის წარმომადგენლები, რომლებიც პირველ რიგში თვითონ უნდა იცავდნენ ადამიანთა უსაფრთხოებას, სამართლიანობასა და წესრიგს.

დამაფიქრებელია ის გარემოებაც, რომ აღნიშნული ჯავშანტრანსპორტიორები ქ. ცხინვალიდან, ე. ი. საგანგებო მდგომარეობის რაიონიდან 4 კილომეტრით შეიჭრნენ გორის რაიონის ტერიტორიაზე;

ისედაც მწვავე სიტუაციას კიდევ უფრო ამძაფრებს საკავშირო პრესა. ასე, მაგალითად: 5 ოქტომბერს გაზეთმა „იზვესტიამ“ გამოაქვეყნა ცნობა, რომ „სამხრეთი“ და „ჩრდილოეთი“ ოსეთის გაერთიანების საკითხი დაისმება „ჩრდილოეთ ოსეთის“ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს შემდგომ სესიაზე, რაც თავისთავად ჩვენი მეზობელი ქვეყნის აგრესიულობის კიდევ ერთ გამოვლინებად შეიძლება ჩაითვალოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც იტყვიან, კომენტარი ზედმეტია . . .

ზემოთ მოყვანილი ფაქტები უფლებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ამგვარი ქმედებები არის რესპუბლიკის სუვერენიტეტის უხეში დარღვევა და გარკვეული მნიშვნელობით — მის წინააღმდეგ აშკარა საომარი მოქმედებაც, რაც ყოვლად მოუთმენელი და დაუშვებელია.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო მტკიცე პროტესტს აცხადებს აღნიშნული ტერორისტული აქციების წინააღმდეგ და იმედს გამოთქვამს, რომ სწორად შეაფასებთ შექმნილ ვითარებას, განახორციელებთ საჭირო ღონისძიებებს, პირველ რიგში კი — რეგიონიდან გაიყვანთ სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯარებს, რომელთა ყოფნა საქართველოს ტერიტორიაზე უკანონოა და რომლებიც სისტემატურ ძალადობასა და ტერორს ეწევიან ადგილობრივი მშვიდობიანი მოსახლეობის მიმართ.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო.

თბილისი, 1991 წლის 11 ოქტომბერი.

## 776 მის აღმატებულებას, ყირგიზეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს, ბატონ ასკარ აკაევს

პატივცემულო ბატონო პრეზიდენტო!

მიიღეთ გულითადი მილოცვა ყირგიზეთის რესპუბლიკის პრეზიდენტად თქვენს არჩევასთან დაკავშირებით.

დარწმუნებული ვარ, რომ თქვენი მოღვაწეობა ამ მაღალ პოსტზე აღინიშნება თქვენი ხალხის ახალი წარმატებებით დემოკრატიული საზოგადოების ფორმირებისა და სუვერენული სახელმწიფოს შექმნის გზაზე, ყირგიზეთისა და საქართველოს რესპუბლიკას შორის სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობებისა და თანამშრომლობის განვითარებით.

პატივცემულო ბატონო პრეზიდენტო, გისურვებთ ჯანმრთელობასა და წარმატებებს, მთელ ყირგიზ ხალხს კი კეთილდღეობასა და აყვავებას.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია.

თბილისი, 1991 წლის 19 ოქტომბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



## 777 მის აღმატებულებას, სომხეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს ბატონ ლევონ ტერ-პეტროსიანს

პატივცემულო ბატონო პრეზიდენტო!

მიიღეთ გულითადი მილოცვა სომხეთის რესპუბლიკის პრეზიდენტად თქვენს არჩევასთან დაკავშირებით.

დარწმუნებული ვარ, რომ თქვენი მოღვაწეობა ამ მაღალ პოსტზე აღინიშნება თქვენი ხალხის ახალი წარმატებებით დემოკრატიული საზოგადოების ჩამოყალიბებასა და სუვერენული სახელმწიფოს შექმნაში, აგრეთვე სომხეთისა და საქართველოს რესპუბლიკებს შორის მეგობრული სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობისა და თანამშრომლობის განმტკიცებით.

იმედს გამოვთქვამთ, რომ პირდაპირი, ღია პოლიტიკური დიალოგის მეშვეობით ურთიერთგაგება ჩვენს ქვეყნებს შორის თანამედროვეობის ძირეულ პრობლემებთან დაკავშირებით კიდევ უფრო გაღრმავდება, რაც უფრო მნიშვნელოვან როლს შეასრულებს ამიერკავკასიაში უშიროებისა და სტაბილურობის, ამ რეგიონში მოსახლე ყველა ხალხის მშვიდობიანი მომავლის უზრუნველყოფაში.

გისურვებთ თქვენ, ბატონო პრეზიდენტო, ჯანმრთელობასა და წარმატებებს, სომეხ ხალხს კი — კეთილდღეობას და აყვავებას.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია.

თბილისი, 1991 წლის 20 ოქტომბერი.

## 778 მის აღმატებულებას, სსრ კავშირის პრეზიდენტს ბატონ მიხეილ გორბაჩოვს

პატივცემულო ბატონო პრეზიდენტო!

როგორც თქვენთვის ცნობილია, 1991 წლის 31 მარტს გამართულმა რეფერენდუმმა გამოავლინა ქართველი ხალხის ერთსულოვანი ნება აღადგინოს საქართველოს დამოუკიდებლობა, რომელიც 1918 წლის 26 მაისს გამოცხადდა და შემდგომ იურიდიულად განმტკიცდა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს 1991 წლის 9 აპრილის ისტორიული აქტით.

ვეყრდნობი რა ხალხის ნებასა და საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს გადაწყვეტილებას, მოგმართავთ თქვენ და ვიმედოვნებ, რომ საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას ცნობენ სსრ კავშირის პრეზიდენტი, სსრ კავშირის სახელ-

ეროვნული ბიბლიოთეკა



მწიფო საბჭო და ჩვენს ქვეყნებს შორის დამყარდება დიპლომატიური ურთიერთობა.

გულწრფელი პატივისცემით

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია.

თბილისი, 1991 წლის 29 ოქტომბერი.

## 779 მიმართვა აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმს

პატივცემულო აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრებო! დღეს ჩვენ ყველანი ვიმყოფებით იმ ისტორიულ მიჯნაზე, როცა თითოეულმა პოლიტიკურმა მოღვაწემ, თითოეულმა მოქალაქემ, რომელიც გრძნობს პასუხისმგებლობას თავისი ხალხის, თავისი სახელმწიფოს ბედისათვის, უნდა გააკეთოს მტკიცე არჩევანი — ან იგი თავის პროფესიულ ცოდნას, ცხოვრებისეულ გამოცდილებას, ავტორიტეტს წარმართავს რესპუბლიკაში შექმნილი ვითარების ნორმალიზაციისათვის ჩვენი საზოგადოების ცხოვრების ყველა სფეროს დეზორგანიზაციის გამომწვევი კონფრონტაციის დასაძლევად, ან მხარს უჭერს დესტრუქციული ძალების უპასუხისმგებლო მოქმედებას, რომლებიც ეწევიან, არსებითად, ბრძოლას ძალაუფლებისათვის, ყველაზე ნაკლებად ზრუნავენ საქართველოს მრავალეროვნული მოსახლეობის ჭეშმარიტი ინტერესებისათვის.

წარმოუდგენლად რთულ პოლიტიკურ ვითარებაში, რომელიც ახასიათებს ჩვენი რესპუბლიკის დღევანდელ დღეს, უმნიშვნელოვანესი მოვლენა გახდა აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს არჩევნები. არჩევნებმა გვიჩვენა, რომ ხალხების კეთილ ნებას შეუძლია გამოაღვიძოს გონება, ხელს უწყობს გამონახონ ოპტიმალური გადაწყვეტილებანი, რომლებიც სახავენ უთანხმოების, უნდობლობის დაძლევის, სხვადასხვა თვალსაზრისთა დასაახლოებლად ვარიანტების ძიების გზას ჩვენი ხალხების მომავლისათვის, მათი მშვიდობიანი ერთობლივი ცხოვრებისათვის.

ამავე დროს აფხაზეთიდან მოსული ინფორმაცია მოწმობს, რომ კვლავ ფეხქვეშ თელავენ ავტონომიური რესპუბლიკის მცხოვრებთა უდიდესი უმრავლესობის მოქალაქეობრივ უფლებებს, დისკრიმინაციას უწევენ მათ, უწინარესად —პოლიტიკურ დარგში; უგულებელყოფენ საქართველოს რესპუბლიკის კანონებსა და კონსტიტუციას, აგრეთვე აფხაზეთის ასსრ კონსტიტუციას. ეს პროცესები იწვევს სერიოზულ შეშფოთებას, რადგან ეწინააღმდეგება ჩვენი ხალხების ძირეულ ინტერესებს, ხელს უშლის იმ საარსებოდ მნიშვნელოვანი ამოცანების გადაწყვეტას, რომლებიც ხელს უწყობს ურთიერთგაგების აღდგენას,

ჩვენი სახელმწიფოს ერთიანი ეკონომიკური კომპლექსის ნორმალური ცხოველმოქმედების აღორძინებას. სამწუხაროდ, ვითარების სტაბილიზაციის მიზნებს ეწინააღმდეგება აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ზოგიერთი გადაწყვეტილებაც, რომლებიც საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების ფუნქციების თვითნებური აღრევის შედეგია. განსაკუთრებით შემაშფოთებელია აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის საქმიანობაში საკანონმდებლო ნორმების საშიში უგულებელყოფა, რასაც შეიძლება სერიოზული კონფრონტაცია მოჰყვეს.

ამ პასუხსაგებ მომენტში საჭიროდ მიმაჩნია აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრებს დაჟინებით მოვუწოდო მთელი თავიანთი ძალები მოახმარონ ავტონომიურ რესპუბლიკაში მდგომარეობის სტაბილიზაციის პირველი ყლორტების მხარდაჭერას, სხვადასხვა საზოგადოებრივი ძალების შეკავებას, რათა არ გადადგან მოუზომელი ნაბიჯები, რომლებსაც შეიძლება შორს გამიზნული შედეგები მოჰყვეს, პოლიტიკური და სამართლებრივი რეალიების სალ შეფასებას საქართველოს რესპუბლიკის, კერძოდ, აფხაზეთის მშვიდობის უზრუნველყოფისა და აყვავების საკეთილდღეოდ.

უნდა შეგახსენოთ წინათ გამოთქმული აზრი, რომ ავტონომიური რესპუბლიკის მომავალი პარლამენტის კანონიერ საფუძველზე ჩამოყალიბება დიდმნიშვნელოვანი პირობაა ახალ სიტუაციაში ავტონომიის უფლებათა რეალური შინაარსით გამდიდრების საკითხის გადასაჭრელად.

მე მოვუწოდებ მოქალაქეობრივი თანხმობისა და თანამშრომლობისათვის თითოეულს, ვისაც ამოძრავებს რეალიზმისა და პასუხისმგებლობის გრძნობა, ვინც მზად არის შეკავშირდეს და იმუშაოს ჩვენი საერთო სახლის, ჩვენი რესპუბლიკის კეთილდღეობისათვის, საკითხებისა და პრობლემების სამართლიანი გადაჭრისათვის, რომლებიც არ ბღალავს საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეთა კანონიერ უფლებებსა და ინტერესებს.

მომავალი თაობა არ გვაპატიებს, თუ არ შევიგნებთ, რომ ნორმალური ცხოვრების ერთადერთი გზაა ჩვენი სახელმწიფოს მთელი შეგნებული, კონსტრუქციული ძალების შეკავშირება, ნამდვილი ძმობა და გულწრფელი მეგობრობა.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია.

თბილისი, 1991 წლის 24 ოქტომბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სხდომები

5 ოქტომბერს გაიმართა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს საგანგებო სხდომა. სხდომამ იმსჯელა სამაჩაბლოში, თბილისში არსებულ ვითარებაზე, უკანონო შეიარაღებულ ფორმირებებზე, დედაქალაქში საგანგებო მდგომარეობის შემოღებაზე, ტელევიზიის, პრესის მუშაობაზე და სხვ. შეიტანა ცვლილებები „საგანგებო წესების შესახებ“ რესპუბლიკის კანონში, მიიღო მიმართვა საქართველოს მოსახლეობისადმი.

6 ოქტომბერს სესიამ მუშაობა განაგრძო. დღის წესრიგში ისევ იდგა საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების, უკანონო შეიარაღებული ფორმირებებისა და სხვა საკითხები. გაიმართა მწვავე კამათი.

სესიაზე მიღებულ იქნა დადგენილება „ქ. თბილისში 1991 წლის 25 სექტემბრიდან საგანგებო წესების გამოცხადების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულების დამტკიცების თაობაზე.

*

* *

8 ოქტომბრის სხდომაზე უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ აკაკი ასათიანმა დეპუტატებს აცნობა, რომ ამა წლის 27 სექტემბერს აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო დადგენილება „აფხაზეთის რესპუბლიკის საბაჟო სამსახურის შექმნის შესახებ“, რომელიც ეწინააღმდეგება საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციასა და კანონებს, აგრეთვე აფხაზეთის ასსრ კონსტიტუციას. უზენაესმა საბჭომ განიხილა ეს საკითხი და მიიღო დადგენილება, რომლის თანახმად აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება ცნეს ბათილად და იურიდიული ძალის არმქონედ.

შემდეგ დეპუტატებმა დაიწყეს რესპუბლიკაში, კერძოდ, თბილისში შექმნილი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარების საკითხის განხილვა. მოხსენება ამ საკითხზე გააკეთა საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ. მან გააანალიზა შექმნილი ვითარება, საქართველოს დედაქალაქში უკანასკნელი დროის ამბები შეაფასა სახელმწიფო გადატრიალების ცდად და უზენაეს საბჭოს და მის საპარლამენტო ფრაქციებს მოუწოდა მხარი დაუჭირონ ამ აზრს.

თანამომხსენებანი გააკეთეს დეპუტატებმა თედო პაატაშვილმა, გიორგი მარჯანიშვილმა, ნოდარ ნათაძემ, აკაკი ასათიანმა, რომლებიც წარმოადგენენ როგორც დიდ უმრავლესობას პარლამენტში, ასევე მის ფრაქციებს. ამის შემდეგ დაიწყო კამათი. უზენაესმა საბჭომ მიიღო რეზოლუცია ამ საკითხზე.

*

* *

9 ოქტომბერს, დღის წესრიგის მორიგი საკითხების განხილვამდე, დეპუტატებმა მოისმინეს საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის ზესა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიონ გუგუშვილის ინფორმაცია ტელევიზიის მდგომარეობის შესახებ. კერძოდ, მან თქვა, რომ შესაბამისი კომისია აწარმოებს მოლაპარაკებას საქართველოს ტელერადიოდეპარტამენტის მუშაკებთან და უკვე აღარ არის მათთან პრინციპული წინააღმდეგობანი. ამიტომ უახლოეს ხანში, ალბათ, ტელევიზიისა და რადიოს მუშაობა ნორმად იქცევა.

უზენაესმა საბჭომ ცვლილებანი და დამატებანი შეიტანა საქართველოს რესპუბლიკის კანონში „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“, მიიღო დადგენილება ამ კანონის მე-4 და მე-7 მუხლების განმარტების თაობაზე. ცვლილებები და დამატებებია შეტანილი კანონში საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრის სტატუსის შესახებ, აგრეთვე შეტანილია ცვლილებები კანონში საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრის გაწვევის შესახებ და კანონში საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს არჩევნების შესახებ. შეტანილია დამატება კანონში საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოს — საკრებულოს წევრის სტატუსის შესახებ.

უზბეკეთის რესპუბლიკის სახელმწიფო დამოუკიდებლობის გამოცხადებასთან დაკავშირებით უზენაესმა საბჭომ ერთხმად მიიღო მიმართვა ამ რესპუბლიკის უზენაესი საბჭოსადმი.

მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკა, სიძნელეები, რომელთა გადალახვა უხდება ამ ეტაპზე რესპუბლიკის ხელმძღვანელობას, გააცნო დეპუტატებს საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა ბესარიონ გუგუშვილმა. უზენაესმა საბჭომ მოისმინა აგრეთვე და განიხილა რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილის ბაკურ გულუას ინფორმაცია საქართველოში სახელმწიფო ქონების მართვის კომიტეტის შექმნის საკითხზე. დეპუტატებმა თანხმობა მისცეს მინისტრთა კაბინეტს ამ კომიტეტის შექმნის თაობაზე.

*

* *

11 ოქტომბერს გაიმართა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მეორე სესიის მორიგი სხდომა.

დღის წესრიგის ერთ-ერთი პირველი საკითხი იყო ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სამართლის ნორმებისათვის კანონის კონსტიტუციური ძალის მინიჭება და საქართველოს რესპუბლიკაში მათი პირდაპირი მოქმედება. დეპუტატებმა საფუძვლიანად განიხილეს რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრის ჯონი ხეცურიანის მიერ ამ საკითხზე წარმოდგენილი საქართველოს რესპუბლიკის კანონის პროექტი და მიიღეს იგი.

საქართველოს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის მინისტრმა მანანა ძოძუაშვილმა დეპუტატებს აცნობა მიმდინარე წლის 2 სექტემბერ — 5 ოქტომბრის პერიოდში თბილისში მომხდარი ამბების დროს დაზარალებულთა კონკრეტული რიცხვი.

შემდეგ უზენაესმა საბჭომ მიიღო საქართველოს რესპუბლიკის კანონი რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რომლის თანახმად იმ თანამდებობათა რიცხვში, რომელთა დანიშვნისათვის საქართველოს პრეზიდენტს სჭირდება პარლამენტის თანხმობა, შეტანილი არიან კომიტეტებისა და დეპარტამენტების ხელმძღვანელებიც. შესაბამისი ცვლილებები და დამატებებია შეტანილი საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის შესახებ კანონშიც.

საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა ბესარიონ გუგუშვილმა უზენაეს საბჭოს დაწვრილებით გააცნო ინფორმაცია ეკონომიკურ რეფორმასთან დაკავშირებით. მისი საფუძვლიანი განხილვის შემდეგ უზენაესმა საბჭომ ცნობად მიიღო ეს ინფორმაცია. რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს დაევალა გადამწყვეტი ღონისძიებები განახორციელოს ეკონომიკური რეფორმის დაჩქარებისათვის.

უზენაესმა საბჭომ მიიღო მიმართვა სსრ კავშირის პრეზიდენტის მიხეილ გორბაჩოვისადმი, რსფსრ პრეზიდენტის ბორის ელცინისადმი, სსრ კავშირის სახელმწიფო საბჭოსა და რსფსრ უზენაესი საბჭოსადმი, რომელშიც გამოქმულია მტკიცე პროტესტი სამაჩაბლოში ვითარების გამწვავების გამო, რაც გამოწვეულია სუვერენული საქართველოს საშინაო საქმეებში გარედან ჩარევის ცდებით და მოთხოვნა გაიყვანონ ამ რეგიონიდან სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარები, რომელთა იქ ყოფნა უკანონოა.

რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა ბესარიონ გუგუშვილმა დეპუტატებს გააცნო სახელმწიფო ქონების პრივატიზების ორგანიზაციული ღონისძიებანი. ამ საკითხზე თანამოხსენება გააკეთა საპარლამენტო ფრაქციის „დემოკრატიული ცენტრის“ წარმომადგენელმა დეპუტატმა რომან გოცირიძემ. უზენაესი საბჭოს, კერძოდ, მისი ეკონომიკური რეფორმისა და საფინანსო-საბიუჯეტო მუდმივი კომისიების თვალსაზრისი გამოთქვეს მათმა თავმჯდომარეებმა გივი თაქთაქიშვილმა და ტარიელ გელანტიამ.

ამ საკითხის განხილვის შედეგები შეაჯამა ბატონმა ბესარიონ გუგუშვილმა, რის შედეგადაც უზენაესმა საბჭომ მიიღო დადგენილება, რომლის თანახმად პრემიერ-მინისტრის ინფორმაცია ცნობად მიიღეს, საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს კი დაევალა დროულად და ორგანიზებულად განახორციელოს სახელმწიფო ქონების პრივატიზაციასთან დაკავშირებული ღონისძიებანი.

შემდეგ უზენაესმა საბჭომ მოისმინა საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის ანგარიში ზამთრისათვის მზადების შესახებ, რომელიც წარმოადგინა რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილემ ბაკურ გულუამ. გაიმართა გულახდილი აზრთა გაზიარება რესპუბლიკის ეკონომიკაში შექმნილი მძიმე ვითარების, კრიზისიდან გამოსვლის გზების შესახებ.

*

* *

30 ოქტომბრის სხდომაზე დამტკიცებული დღის წესრიგის შესაბამისად პარლამენტარებმა განიხილეს და მიიღეს კანონები საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს არჩევნების შესახებ კანონსა და საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრის გაწვევის წესის შესახებ კანონში ცვლილებათა შეტა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნის შესახებ. ცვლილებანი და დამატებანი იყო შეტანილი საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციაშიც.

შემდეგ უზენაესმა საბჭომ მიიღო საქართველოს რესპუბლიკის კანონი ამნისტიის შესახებ, რომელიც ეხება ზოგიერთი კატეგორიის არასრულწლოვან პატიმრებს და დადგენილება ამ კანონის გამოყენების წესის შესახებ.

მიღებულია კანონი „საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის შესახებ კანონში ცვლილებათა შეტანის თაობაზე“ საქართველოს რესპუბლიკის კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ. ცვლილებანია შეტანილი რესპუბლიკის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსშიც.

კანონმდებელთა პრინციპული მსჯელობის საგანი იყო ყოფილი სსრ კავშირის სუვერენულ სახელმწიფოებს — რესპუბლიკებს შორის ეკონომიკური თანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულებისადმი დამოკიდებულებაში საქართველოს პოზიციის საკითხი. ამ საკითხზე გამოსულმა საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა ბესარიონ გუგუშვილმა გააანალიზა ამ ხელშეკრულების ძირითადი დებულებანი, მისცა მას მთლიანად შესაბამისი შეფასება. ამ უარყოფით შეფასებაში პარლამენტის უმრავლესობისა და ოპოზიციის აზრი ერთმანეთს დაემთხვა.

პარლამენტარებმა აღნიშნეს, რომ კონკრეტული სჯა-ბაასი ამ გაერთიანებაში რესპუბლიკის მონაწილეობის შესახებ შესაძლებელია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ამ ხელშეკრულების ახლანდელი სუბიექტები ცნობენ საქართველოს სახელმწიფო დამოუკიდებლობას.

დეპუტატებმა განიხილეს „მრგვალი მაგიდის“ საპარლამენტო ფრაქციის მიერ შემოთავაზებული საკითხი უზენაესი საბჭოს საგარეო ურთიერთობის მუდმივი კომისიის თავმჯდომარის გადარჩევის შესახებ. გაიმართა კენჭისყრა, რომლის დროსაც „მრგვალი მაგიდის“ ფრაქციის წინადადებამ არ მიიღო საჭირო რაოდენობის ხმები.

*

*   *

31 ოქტომბერს გაგრძელდა სესიის სხდომა. დეპუტატების წინადადებით, რომლებმაც სერიოზული შეშფოთება გამოთქვეს საქართველოში კრიმინოგენული სიტუაციის გამწვავების გამო, ინფორმაცია გააკეთა რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრმა დილარ ხაბულიანმა. გაზრდილი დამნაშავეობის მთავარ მიზეზად მან დაასახელა ის, რომ მოსახლეობას აქვს დიდძალი იარაღი, მოითხოვა უკანონო შეიარაღებულ ფორმირებათა დაშლა, რომლებიც, როგორც მან აღნიშნა, ინიღბებიან პოლიტიკური მიზნებით, სინამდვილეში კი მათი უმრავლესობა ხელს უწყობს რესპუბლიკის სხვადასხვა რეგიონში ძალმომრეობის ესკალაციას. მინისტრმა დასვა აგრეთვე საკითხი მილიციის მუშაკთა უფლებამოსილების გაზრდისა და იარაღის უკანონო ტარებისათვის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ.

სესიამ იმსჯელა სამაჩაბლოში შექმნილ მდგომარეობაზე. აღინიშნა, რომ ამ ბოლო ხანს მკვეთრად გამწვავდა ვითარება. საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ სამაჩაბლოს პრობლემა მჭიდროდ უკავშირდება რუსეთთან და სსრ კავშირთან საქართველოს ურთიერთობას, და რომ საჭიროა ამ ურთიერთობებში სიცხადის შეტანა. მან თქვა, რომ სამაჩაბლოში კონფლიქტს ბოლო მოეღება მას შემდეგ, რაც რუსეთი და სსრ კავშირი ცნობენ საქართველოს დამოუკიდებლობას.

შექმნილი მდგომარეობიდან გამოსვლის გზებზე თავიანთ გამოსვლებში ილაპარაკეს პრაქტიკულად ყველა საპარლამენტო ფრაქციის წარმომადგენლებმა. უზენაესმა საბჭომ გადაწყვიტა მიმართოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციას თხოვნით გამოგზავნოს საქართველოში საერთაშორისო ექსპერტები სამაჩაბლოში მდგომარეობის ობიექტური შეფასებისათვის.

პარლამენტმა დააკმაყოფილა საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის თხოვნა თბილისის მეტროპოლიტენისათვის ვაგონებისა და საქართველოს სამოქალაქო ავიაციისათვის სამგზავრო თვითმფრინავების შესაძენად საბიუჯეტო ასიგნებათა გამოყოფის თაობაზე.

უზენაესმა საბჭომ განიხილა საკადრო საკითხებიც.

*

* *

პირველ ნოემბერს საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს მეორე სესიამ მუშაობა განაგრძო. სხდომის გახსნისთანავე გაკეთდა რამდენიმე განცხადება.

ამბროლაურის რაიონში მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით, რომელზეც წინა დღით მოახსენა უზენაეს საბჭოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრმა დილარ ხაბულიანმა, განცხადება გააკეთა სრულიად საქართველოს მერაბ კოსტავას საზოგადოების თავმჯდომარემ დეპუტატმა ვაჟა ადამიამ. გამოთქვა რა თავისი თვალსაზრისი, მან დაგმო იმ პირთა მოქმედება, რომლებმაც პროვოკაციულად გამოიწვიეს არეულობა ამ რაიონში, მიუხედავად იმისა, თუ რომელ პოლიტიკურ პარტიას ან ორგანიზაციას განეკუთვნებიან ისინი.

საპარლამენტო ფრაქციის „ქარტია-91-ის სახელით განცხადება გააკეთა დეპუტატმა მერაბ ურიდიამ. მან, კერძოდ, დააყენა საკითხი, რომ საჭიროა რესპუბლიკის პრეზიდენტი შეხვდეს ამ ფრაქციის წარმომადგენლებს.

დაუბრუნდნენ რა სესიის დღის წესრიგში შეტანილი საკითხების განსჯას, დეპუტატებმა განიხილეს ბინების პრივატიზების შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონის პროექტი. იგი წარმოადგინა უზენაესი საბჭოს ჰუმანიტარულ და სოციალურ საკითხთა მუდმივი კომისიის თავმჯდომარემ რობერტ პეტრიაშვილმა, რომელმაც კანონმდებლებს გააცნო გამოქვეყნების შემდეგ ამ კანონპროექტში შეტანილი ცვლილებანი და დამატებანი. ამასთან მან აღნიშნა, რომ ამ კანონის პროექტი უკვე მესამედ გამოაქვთ პარლამენტის განსახილველად. მისი განხილვა ორჯერ გადაიდო. თანაც, ეს კანონი მეტისმეტად მნიშვნელოვანია. რასაც მოწმობს მისდამი მოსახლეობის დიდი ინტერესი. აზრთა გაზიარებისას დეპუტატებმა მრავალი კონკრეტული შენიშვნა და წინადადება გამო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თქვეს კანონპროექტის საბოლოო დახვეწის მიზნით. ამის შედეგად უზენაესმა საბჭომ მიიღო ეს კანონი პირველი მოსმენით.

სესიამ განიხილა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს და მთავრობის ერთობლივი კომისიის დასკვნა, რომელიც შეიქმნა სოფლის მეურნეობის, კვებისა და გადამმუშავებელი მრეწველობის საწარმოებისათვის ვადაგასულ საბანკო დავალიანებათა ჩამოწერის გამო არსებული მდგომარეობის შესასწავლად. დადგენილებით უზენაესმა საბჭომ დაავალა რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს განიხილოს კომისიის დასკვნა და მიიღოს შესაბამისი ღონისძიებანი მომავალში მსგავს დარღვევათა აღსაკვეთად. კონკრეტული დავალებანი მიეცა რესპუბლიკის აგრომრეწვბანკის ხელმძღვანელობას. დაშვებული უხეში დარღვევების შესახებ კომისიის მასალები გადაეცა საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურას.

უზენაესმა საბჭომ განიხილა საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის საქმიანობის, მომსახურებისა და დაცვის უზრუნველყოფის საკითხი და მიიღო შესაბამისი დადგენილება.

უზენაესი საბჭოს იურიდიული მუდმივი კომისიის თავმჯდომარედ სესიამ აირჩია დეპუტატი კონსტანტინე ფირცხალავა. არჩეულია აგრეთვე ამ კომისიის შემადგენლობა.

დეპუტატი ავთანდილ იმნაძე გათავისუფლებულია უზენაესი საბჭოს ადამიანის უფლებათა დაცვის მუდმივი კომისიის თავმჯდომარის მოვალეობისაგან. ამ კომისიის თავმჯდომარედ არჩეულია დეპუტატი ზაურ ქობალია.

პარლამენტმა დააკმაყოფილა დეპუტატ თედო პაატაშვილის თხოვნა და გაათავისუფლა იგი უზენაესი საბჭოს საგარეო ურთიერთობათა მუდმივი კომისიის თავმჯდომარის მოვალეობისაგან. ამ კომისიის თავმჯდომარედ არჩეულია დეპუტატი მედეა თუშმალიშვილი.

საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურის შუამდგომლობით უზენაესმა საბჭომ დროებით შეაჩერა „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის 1991 წლის 10 აგვისტოს მიღებული კანონის მოქმედება.

განხილულ იქნა სხვა საკითხებიც.